*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

## სსიპ-ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: მაია მამისეიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

**წევრები:**

1. გიორგი ნებიერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ირმა ავალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. კახა გალდავა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. რუსუდან ნიპარიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ნინო ბერიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტi
6. ოლიკო კილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. თამარ მახარაძე-ხოხიაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. ლიანა კობესაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 236087630 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | მცხეთა |
| იურიდიული მისამართი | ქალაქი მცხეთა, შრომის ქ.N22 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი მცხეთა, შრომის ქ.N22 |
| საფოსტო ინდექსი | 3300 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | Skolebi.emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Mtskheta2@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577971101 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი; 2023 წლის 31 აგვისტოს ბრძანება **MES 2 23 0001055092** |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 18-19 სექტემბერი 2023 წელი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული ენა | ქ. მცხეთა, შრომის ქ. N22 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული ენა | ქ. მცხეთა, შრომის ქ. N22 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული ენა | ქ. მცხეთა, შრომის ქ. N22 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

**გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

სსიპ- ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლა ჩართულია ეროვნულ თუ საერთაშორისო სხვადასხვა პროექტში, მონაწილეობს კონკურსებსა და ოლიმპიადებში. სხვადასხვა საგნისა და მიმართულების მიხედვით სკოლას აქვს გარკვეული წარმატებული შედეგები: 2022 წლიდან სკოლა ჩართულია USAID-ის სამოქალაქო განათლების პროექტში, რომლის ფარგლებშიც ,,მცირე საგრანტო პროექტების" კონკურსში გამარჯვებულიც გახდა და საჩუქრად მიიღო სამოქალაქო კლუბის მოსაწყობი საოფისე ტექნიკა, ასევე გაიმარჯვა ტექნიკის კონკურსში და მიიღო კომპიუტერული ტექნიკის სრული კომპლექტი. სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა დაიმსახურა აღიარება-ჯილდო ,,წლის საუკეთესო მასწავლებელი". სკოლას შექმნილი აქვს საკუთარი ბლოგი ,,ახალი ხედვა", სადაც ათავსებს სამოქალაქო განათლების მიმართულებით კლუბის ნამუშევრებს.
სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს პროფესიული პროგრამების განხორციელებას, თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებელ ,,იკაროსთან". ამერიკის საელჩოს მიწვევით სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ესწრებოდნენ ,,ვაქცინაციის კვირეულის" ეგიდით გამართულ ღონისძიებებს. სკოლა რამდენიმე წელია თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ალტე უნივერსიტეტთან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრთან, კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს ბანკის ინიცირებულ პროექტებში მონაწილეობს პროფესიულ კოლეჯ ,,იკაროსთან" ერთად.
სკოლა ჩართულია საერთაშორისო პროექტში ,,Technovation Girls 2023", რომელიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიების გამოყენების პროცესებში ქალთა ჩართულობის გაზრდას. მოსწავლეებისაგან შემდგარმა გუნდმა ,,3V" მოამზადა პროექტი, რომლის ფარგლებში შეიქმნა სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის მობილური აპლიკაცია ,,SPETLY", საერთაშორისო პორტალზე მას მოჰყვა სათანადო აღიარება. სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი ,,etwining"-ის საერთაშორისო პროექტებში, განხორციელებული აქვთ არაერთი პროექტი. სკოლა ელოდება ეროვნული და ევროპული ხარისხის ნიშანს.

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:<br><br>450</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br><br>☒</td><td>აღწერა<br>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br><br>☐</td><td></td></tr>
</table>

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები: დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |

| სტანდარტი 3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ხარვეზი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| სტანდარტი 4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| ინდიკატორი .... | | |
| | | |

| სტანდარტი 2 | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | ხარვეზი |
|---|---|---|
| ინდიკატორი .... | | .............. |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| სტანდარტი 1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ინდიკატორი .... | | .............. |
| | | |
| | | |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

| სტანდარტი 3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
|---|---|---|
| 3.1.2.4. | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; | სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში **(15.01.2024-მდე)** |
| **3.4.1.1.** | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | სკოლამ უზრუნველყოს:<br>• შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება;<br>• შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება;<br>• შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმის შეთანხმება;<br>• სპორტული აქტივობების დროს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა;<br>• სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვა<br>შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში **(16.10.2024-მდე)** |
| **3.4.1.4.** | სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას | სკოლამ უზრუნველყოს:<br>• სპორტული დარბაზის სველ წერტილებში, ვაჟების სველი |

| | | |
|---|---|---|
| | | წერტილების სივრცეში დამლაგებლის ინვენტარის სათავსო ოთახში, დამხმარე ოთახებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებიის დაცვა<br>• სკოლის ეზოს ტერიტორიაზე სანიტარული ნორმების დაცვა;<br>• სკოლის მთელ ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის შემუშავება. შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (01.11.2024-მდე) |
| **3.5.1.3.** | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | სკოლამ მოაწყოს პანდუსი და უზრუნველყოს სველი წერტილების ადაპტირება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში **(01.11.2024-მდე)** |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი ....* | | .............. |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი 1*** | **სკოლის ფილოსოფია** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი ....* | | ............. |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი 3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| *3.4.1.1.* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | *სკოლას მიეცა რჩევა, რომ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი;*<br><br>*სკოლას მიეცა რჩევა მალევე აღადგინოს სკოლის შენობის უკანა მხარეს სარდაფში შესასვლელი კარი , რათა შეიზღუდოს აღნიშნულ სივრცეში უცხო პირთა ან მოსწავლეთა შესვლა.* |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი 4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი 4.2.1.1.* | *სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი* | *სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი,* |

| | | |
|---|---|---|
| | მექანიზმი; | რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, აგრეთვე სხვა სკოლიდან გადმოსული და უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მოსწავლეების შემთხვევებში ადაპტაციის წესი |
| | | |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი<br>დაწყებითი საფეხური | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი 2.2.1.4 | სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); | სკოლას მიეცა რჩევა, რომ აქტივობები და დავალებები დაიგეგმოს ისე, რომ გათვლილი იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე |
| ინდიკატორი 2.2.1.5 | სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. | სკოლამ სამომავლოდ სასურველია მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. |
| ინდიკატორი 2.3.1.3 | მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას | მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სასურველია, სამომავლოდ გაითვალისწინოს სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. |
| ინდიკატორი 2.3.2.1 | შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს | სკოლას ეძლევა რჩევა, განმავითარებელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო |

| | | |
|---|---|---|
| | | შეფასების ანალიზი. |
| | | |
| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>**საბაზო საფეხური** | **რჩევა** |
| ინდიკატორი 2.2.1.4 | სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); | სკოლას მიეცა რჩევა, რომ აქტივობები და დავალებები დაიგეგმოს ისე, რომ გათვლილი იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე |
| ინდიკატორი 2.2.1.5 | სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. | სკოლამ სამომავლოდ სასურველია მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. |
| ინდიკატორი 2.3.1.3 | მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას | მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სასურველია, სამომავლოდ გაითვალისწინოს სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. |
| ინდიკატორი 2.3.2.1 | შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს | სკოლას ეძლევა რჩევა, განმავითარებელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. |
| | | |
| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>**საშუალო საფეხური** | **რჩევა** |
| ინდიკატორი 2.2.1.4 | სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, | სკოლას მიეცა რჩევა, რომ აქტივობები და დავალებები დაიგეგმოს ისე, რომ გათვლილი |

| | | |
|---|---|---|
| | *პროცედურული და პირობისეული);* | *იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე* |
| *ინდიკატორი 2.2.1.5* | *სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.* | *სკოლამ სამომავლოდ სასურველია მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები.* |
| *ინდიკატორი 2.3.1.3* | *მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას* | *მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სამომავლოდ გაითვალისწინოს სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.* |
| *ინდიკატორი 2.3.2.1* | *შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს* | *სკოლას ეძლევა რჩევა, განმავითარებელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.* |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ: რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ _ მესამე სტანდარტთან მიმართებაში 3.1.2.4; 3.4.1.1; 3.4.1.4; 3.5.1.3; ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად*

*შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;*

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია
### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**
სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომლებიც გამომდინარეობს სკოლის საჭიროებებიდან და ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**
სკოლის მისიითა და ხედვით სკოლა წარმოაჩენს საკუთარ როლს და უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრას. სკოლის მისია და ხედვა ითვალისწინებს ფორმალური და არაფორმალური განათლების განვითარების მიმართულებით სკოლა იყოს მოსწავლის პიროვნულ განვითრებაზე ორიენტირებული დაწესებულება.

**ინდიკატორი შესამისობაშია.**

**შეესაბამება3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**
სკოლას აქვს შემუშავებული სკოლის მისიის , ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი.

,,სტრატეგიული განვითარების გეგმის“ დოკუმენტის სახელით მოწოდებულ მტკიცებულებაში ნათლად იკვეთება, თუ როგორაა ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

,,სტრატეგიული განვითარების გეგმის“ თავდაპირველი ვერსიის დოკუმენტში ნათლად იკვეთება, თუ როგორაა ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. როგორც სკოლაში ვიზიტის დროს გაირკვა, სკოლის დირექციისა და სამუშაო ჯგუფის წევრები ამ მიზნით შეხვდნენ სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებს, მოსწავლეთა მშობლებს, თავად მოსწავლეებს. ინფორმაცია გააზიარეს როგორც სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფების მეშვეობით, ასევე კლასების დამრიგებელთა მიერ შექმნილ მშობელთა მესენჯერის ჯგუფებში. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლამ თავიდანვე განსაზღვრა, რომ, რომ შემუშავებული სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველ დოკუმენტს გაავრცელებდა სხვადასხვა ფორმით, მაგ: ფლაერებისა და პოსტერების სახით და საინფორმაციო დაფაზე, დაგეგმავდა შეხვედრებს. . ამ მხრივ სკოლამ სწავლის დაწყებისთანავე გამართა შეხვედრები სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, გამოიყენა საინფორმაციო დაფები, მესენჯერ ჯგუფები და სკოლის ვებგვერდი.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448-ე და 2007 წლის 16 მარტის N194-ე ბრძანებების საფუძველზე იწოდება როგორც : ,,სსიპ-ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლა“.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 აპრილის ბრძანება N24
2. პასუხისმგებელი ჯგუფის მიმდინარე წლის 4 მაისის სხდომის ოქმი N1
3. სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 მაისის ბრძანება N 28/1
4. სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა
5. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

#### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

 სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 მაისის ბრძანება N28/1-ის საფუძველზე სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საჭირო მექანიზმებსა და ნაბიჯებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის შემადგენელი ეტაპებია:

- ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- შეგროვებული ინფორმაციის დამუშავების - SWOT ანალიზის შედეგად, სკოლის მისიისა და ხედვის რევიზია;
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება;
- სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და 1 წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება;
- სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და 1 წლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პრინციპების ჩამოყალიბება;

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის შემადგენელი ნაწილებია: ,,სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“, ,,სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი“, ,,სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის აღწერა“, ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების პროცესი“, ,,სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და SWOT ანალიზი“, ,,მიზანი და ამოცანები“-- სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტის პირველ ვარიანტში ეს უკანასკნელი ზოგადი აღწერებისა და კონკრეტული ნაბიჯების, ვადების გარეშე იყო წარმოდგენილი, თუმცა ადგილზე ვიზიტის პერიოდში ექსპერთა რჩევის საფუძველზე სკოლამ განახორციელა ცვლილებები და სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმაში გამოკვეთა სტრატეგიული მიზნები, კონკრეტულ ამოცანები და ამ ამოცანების ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობები, საჭირო რესურსები (ფინანსური, მატერიალური, ადამიანური), განსაზღვრა პ/პირები და წარმოაჩინა თვალსაჩინო იყოს მისი ციკლურობა. ძირითადი ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ სკოლამ სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმაში გამოიყენა

სამოქმედო გეგმის დოკუმენტში გამოყენებული ჩარჩო ცხრილი, რათა გაზომვადი ინდიკატორები ყოფილიყო თვალსაჩინო და 7 წელზე გათვლილი. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით და მოიცავს ამოცანებს, საქმიანობას, საქმიანობის შედეგების ინდიკატორებს, მონაცემების დადასტურების წყაროსა და მოპოვების მეთოდებს, საქმიანობის განხორციელების ვადებს, საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები, საჭირო რესურსები, მოცემული საკითხების მიხედვით ჩაშლილია სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე განსახორციელებელი საქმიანობების მიხედვით. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც წარმოდგენილია სტრატეგიული განვითრებიუს 7 წლიან გეგმაში: 1. პოზიტიური და უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა; 2. მასწავლებლების პროფესიული განვითარება; 3. მაღალი ხარისხის განათლება; 4.ოჯახებთან თანამშრომლობის გაძლიერება; თითოეული მიმართულების მიხედვით გაწერილია ამოცანები, კონკრეტული საქმიანობა, შედეგების ინდიკატორები, მონაცემების დადასტურების წყარო და მოპოვების მეთოდები, რესურსები. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ძირითადად არიან სკოლის მასწავლებლები, დამრიგებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, შესაბამისი რესურსები.გეგმის განხორციელება რეალისტურია და დანერგვის პროცესის სწორად გაანალიზების შემთხვევაში, მიღწევადია. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 მაისის ბრძანება N 28/1
2. სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 მაისის ბრძანება N28/1-ით და რომლითაც განსაზღვრულია საჭირო მექანიზმები და ნაბიჯები. მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის შემადგენელ საკითხებს შორის ერთ-ერთი არის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და 1 წლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პრინციპების ჩამოყალიბება და SWOT ანალიზი. აღნიშნული დოკუმენტის მე-10 მუხლის - ,,შესრულების მონიტორინგი" ითვალისწინებს დეტალურ აღწერას აღნიშნული პროცესისას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სტრა ტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. ასევე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა განხორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც გამოიკვეთება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივები. ასევე, აღნიშნულია

ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლის შესახებ. SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაც და სტრატეგიული განვითრების გეგმასთან შესაბამისობაც.
ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**
სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია მონიტორინგის შედეგების შესაბამისად ინფორმაციის თავმოყრისა და გაზიარების მექანიზმები. სკოლა გეგმავს შეავსოს სპეციალურად შემუშავებული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გამართულ გაერთიანებულ შეხვედრაზე, რომელსაც დაესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი, საბოლოო შედეგების გაზიარება კი სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან, თუ წარმომადგენლებთან ხდება.
ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**
სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-10 მუხლის -- ,,შესრულების მონიტორინგის" მე-6 და მე-7 პუნქტებში დეტალურადაა წარმოდგენილი თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.აღნიშნული დოკუმენტის მე-12 თავში --,,ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები", მოცემულია ის საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც სკოლა უზრუნველყოფს საჯაროობას. ესენია: სკოლის ვებ-გვერდი,ელექტრონული ფოსტა, პორტალი ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული

ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სკოლის სტენდი, ასევე მოცემულია სპეციალური სქემა, რომელიც ითვალისწინებს დოკუმენტის დასახელებას, თუ ვისთან ხდება გაზიარება და წარმოდგენილია გაზიარების რეკომენდირებული მექანიზმები.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-7 და მე-8 თავებში მოცემულია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება/გადახედვა/დახვეწისა და სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირების შესახებ საკითხები, რომელთა გაცნობა ნათლად გვაჩვენებს , თუ რა მიზანს ემსახურება შედეგების ანალიზი და როგორ შეიძლება სკოლამ გამოიყენოს აღნიშნული სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 მაისის ბრძანება N 28/1 -,,სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის დამტკიცების შესახებ
2. სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

სკოლამ ერთ-ერთ სავალდებულო დოკუმენტად წარმოადგინა სკოლის სტრუქტურის სქემა, სადაც მოცემულია სტრუქტურული ერთეულებისა და საშტატო პირების დასახელება . სკოლის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურადაა წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და პირების შესახებ ინფორმაცია: სამეურვეო საბჭო დაკომპლექტებულია 7 წევრით, მათ შორის თანაბარი რაოდენობის მასწავლებლები და მშობლები(მშობელთა წარმომადგენლები საფეხურების მიხედვით), და ერთი საშუალო საფეხურის მოსწავლე. დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბურალტრისაგან, ადმინისტრაციის წევრები არიან: საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. ე.წ. შტატგარეშე თანამშრომლები არიან 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, მუშა, ექიმი. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედის 30 მასწავლებელი. სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა. ცალკე სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია 2 მასწავლებლით, 2 მშობლითა და საშუალო საფეხურის 2 მოსწავლით. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებით დაკომპლექტებულია სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას ემსახურება 2 მანდატური, სოციალური მუშაკი. სკოლის დირექტორის 2019 წლის 27 თებერვლის N13 ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, ხოლო 2020 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება N 154/1-ის საფუძველზე სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობას

არეგულირებს შესაბამისი დებულება. ადგილზე ვიზიტისას გადამოწმდა მოქმედი საშტატო განრიგის დოკუმენტთან სკოლის სტრუქტურის შესაბამისობა. სკოლამ წარმოადგინა ,,სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების აღმწერი დოკუმენტი“, სადაც არა მარტო სტრუქტურული ერთეულების, არამედ სკოლაში მომუშავე შესაბამისი პირების-პოზიციების ფუნქცია-მოვალეობებია აღწერილი.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლას შემუშავებული აქვს ,,სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების აღმწერი დოკუმენტი“, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და პირის ფუნქცია-მოვალეობები, მათი პასუხისმგებლობების გადანაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.უფლება- მოვალეობების შესახებ განხილულია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებშიც.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

1.სკოლის შინაგანაწესი
2. შრომითი ხელშეკრულებები
3. სკოლის დირექტორის 2019 წლის 27 თებერვლის N13 ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ
4. 2020 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება N 154/1 ,, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“
5. კათედრის დებულება
6. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მარეგულირებელი შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: ,,გამჭვირვალობა და გაზიარებულობა, მონაწილეობითა, უწყვეტობა,ანგარიშვალდებულება“, რომელთა საფუძველზეც გეგმავს სკოლა განახორციელოს ხარისხის ზრდა და ეს პროცესი დააფუძნოს ე.წ. ,,PDGA” მიდგომას: დაგეგმე-განახორციელე--შეამოწმე --განავითარე. დოკუმენტში დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული მიდგომისა თუ პრინციპის აღმწერები სკოლა პერსონალის მართვის პოლიტიკის შესახებ მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებს გუნდურობაზე და მტკიცებულებად მოჰყავს კათედრების მუშაობა, მათ მიერ პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, კურიკულუმების შედგენა, კომპლექსური დავალებების შედეგების ანალიზი. სკოლას 2023 წლის 1-ელ თებერვალს სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის N11/1-ის საფუძველზე დამტკიცებული აქვს დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ“, რომლის საფუძველზე რეგულირდება აღნიშნული პროცესები.

დასაქმებულთა კვალიფიციურობაზე მსჯელობისას სკოლა ყურადღებას ამახვილებს შიდა და ღია კონკურსის წესით მასწავლებელთა მიღების წესზე. აღნიშნავს, რომ სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრული აქვს სკოლის შინაგანაწესში, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 1-ელი თებერვლის ბრძანება N11/1-ის საფუძველზე სკოლაში დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი და განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის სსისტემის ორგანიზაციული მხარდაჭერა. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია დასაქმებულის სამუშაო აღწერილობა და პერსონალის შერჩევის პროცესი, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმი და პერსონალის საქმიანობის შეფასება, პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, ორგანიზციული კულტურა და საჭიროებების კვლევა.ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

პერსონალის შერჩევის პოლიტიკასა და პროცედურებს სკოლა განსაზღვრავს საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, კონკურსის წესით პერსონალის შერჩევით. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტისას წარმოადგინა ერთ-ერთი კონკურსის /სპორტის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად/ სკოლის დირექტორის 2023 წლის 1-ელი სექტემბრის ბრძანება N118/1, რომლითაც განისაზღვრა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანტა ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის გამოცახდების პირობები და ჩატარების ვადები. სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით /N119/1-01.09.23წ./ /N120/1-01.09.23წ./შეიქმნა საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიები, მასწავლებელთა ვაკანსიების ვებგვერდზე გამოქვეყნდა შესაბამისი განაცხადი. სკოლის ექიმის გარდა, სხვა თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი და სკოლის მიერ განხორციელებული საკადრო პოლიტიკის ფარგლებში მიღებული გადაწვეტილებები ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და თანამშრომელთა პირად საქმეებში მოთავსებული იყო ცნობები ნასამართლობის შესახებ, ხოლო 2020 წლიდან დასაქმებულთა

პირად საქმეებში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში განმარტებულია, რომ სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია და დასაქმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლაში თანამშრომლები მიიღებიან შიდა და ღია კონკურსის წესით. თუმცა აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლაში ექიმის პოზიციაზე დასაქმებულია ექიმ-სტომატოლოგი, რაც ეწინააღმდეგება სკოლებში ექიმის დანიშვნის წესსა და მოქმედ კანონმდებლობას. გარდა სკოლის ექიმისა, საშტატო ერთეულებისა და პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები, ასევე თანამშრომელთა კვალიფიკაცია დაკავებულ თანამდებობებს შეესაბამება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-15.01.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურება.**

**5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

პერსონალის მართვის პოლიტიკასა და ორგანიზაციულ კულტურას სკოლა აღწერს მონაწილეობითი პრინციპების წარმოდგენით, კერძოდ, სკოლას გუნდური მუშაობის მუშობის კარგი გამოცდილება აქვს. წარმატებული პრაქტიკაა აზრთა და გამოცდილებათა გაზიარება, პრობლემური საკითხების ერთობლივი განხილვა, კურიკულუმებზე გუნდური მუშაობა, უკუკავშირების მიწოდება და გათვალისწინება, რასაც ადასტურებს პედსაბჭოს და კათედრის დოკუმენტაცია. სკოლის დირექციის მიერ აღიარებულია წარმატებული პრაქტიკები. მონაწილეობითი ორგანიზაციული კულტურა გამოხატულია კათედრის თავმჯდომარეების არჩევის წესში, დისციპლინურ კომიტეტში წევრთა არჩევის წესი, მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტებასა და სამეურვეო საბჭოს წევრთა არჩევის წესში, ასევე ისგ.ჯგუფებში მასწავლებელთა შემადგენლობაში. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

სკოლა წარმატებულ გამოცდილებას აზიარებს სოციალური ქსელის მეშვეობით, ასევე მასწავლებლები მონაწილეობენ სამუშაო შეხვედრებსა და რაიონულ კონფერენციებში.ოქმები.სკოლის თანამშრომლები მონაწილეობენ სხვადასხვა სახის პროგრამებსა და პროექტებში, კერძოდ: გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგკურსი, კურსის დასრულების შემდეგ მათ დაგეგმეს და განახორციელეს პროექტი „მდგრადი განვითრების მიზნებზე“ , USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამაში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან ერთად, MTSS- მოსწავლეთა მრავალშრიანი განვითრების პროგრამაში, ck-12-ის პროგრამაში, intel-ის და Stem პროეტებში, Etwinning-ის საერთაშორისო პროექტებში (ხორციელდება 6 პროექტი: my magic town, future, დატოვე შენი მწვანე კვალი). მასწავლებლები ტენინგზე მიღებულცოდნას უზიარებენ კოლეგებს სამუშაო შეხვედრებზე, რეგიონულ, რაიონულ და ეროვნულ კონფერენციებზე (2022-2023 სასწავლო წელს 5-მა მასწავლებელმა მიიღო კონფერენციაში მონაწილეობა. ჩართულები არიან.ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი
2. სკოლის შინაგანაწესი
3. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები
4.პერსონალის შერჩევის/დანიშვნის ამსახველი მასალა/სკოლის დირექტორის ბრძანებები, სკოლის საკონკურსო პორტალზე გამოცხადებული ვაკანსიები, შრომითი ხელშეკრულებები/
5. სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები
6.კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითადი რეგულირების სფეროს წარმოადგენს კვალიფიციური პერსონალის შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებითი საფუძველი და მარეგულირებელი საკითხები, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა . სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მარეგულირებელი შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა : ,,გამჭვირვალობა და გაზიარებულობა, მონაწილეობითა, უწყვეტობა,ანგარიშვალდებულება“, რომელთა საფუძველზეც გეგმავს სკოლა განახორციელოს ხარისხის ზრდა და ეს პროცესი დააფუძნოს ე.წ. ,,PDGA” მიდგომას: დაგეგმე-განახორციელე--შეამოწმე --განავითარე. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი და შემუშავებულია დებულება.

ხარისხის ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასება ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვითა და წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**

სკოლაში ვიზიტისას და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლით, დგინდება, რომ სკოლის პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. სკოლის სურვილია , დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებიც, რაც ძირითადად, გამოიხატება პროფესიული გადამზადების კურსების, ტრენინგების მოძიებითა და მათში მონაწილეობით. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით , სკოლის მნიშვნელოვანი ამოცანაა ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; სკოლას აქვს მოწყობილი ტექნიკითა და ინტერნეტით აღჭურვილი ოთახი,რომლითაც თანამშრომლები სარგებლობენ ტრენინგებზე და პროფესიულ შეხვედრებზე დასწრებისას და სასწავლო რესურსების შექმნისას.ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

ქალაქ მცხეთის N2 საჯარო ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-4, მე-8,მე-9, ,მე-10, მე-11 მუხლები მოიცავს საკითხებს სკოლის მხრიდან თანამშრომელთა მიღებისა და სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სკოლის შენობას, როგორც ალტერნატიულ ფართს იყენებს მცხეთის N1 საჯარო სკოლა და მთელი დღის განმავლობაში სკოლაში დროებით 3 ცვლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, კეთილმოწყობილი და აღჭურვილია საკლასო ოთახები ყველა საჭირო ინვენტარით. ასევე, საკლასო და სარეკრეაციო ზონები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. ამასთან სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია შრომის პირობების დაცვის

წესები, რასაც ეცნობიან ახალი თანამშრომლები. სკოლა აცნობს ახალ თანამშრომლებს სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ჩვეულებებს, რომელიც მათ უმარტივებს სკოლასთან თანამშრომლობას.ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

სკოლაში წახალისებული და მხარდაჭერილია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. მაგალითად თანამშრომელთა ინიციატივების საფუძველზე სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები: აღნიშნა „დედამიწის დღე", ტყის საერთაშორისო დღე", სოციალური აქცია, სააღდგომო საქველმოქმედო აქცია (მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივა) . სკოლის სპეციალური მასწავლებლის ინიციატივით მოხდა დაუნის სინდრომის დღისა და აუტიზმის დღის ორგანიზება და ჩატარება. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიბის მასწავლებლის ინიციატივით სკოლაში დაინერგა Minecraft Education პროგრამა, ck-12, scratch, როგორც სასწავლო რესურსი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ნატოსა და ევროკავშირის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ორდღიან სემინარზე გამოცხადებულ კონკურსში სამოტივაციო წერილის საფუძველზე შეირჩა მცხეთის N2 საჯარო სკოლის ისტორის მასწავლებელი და მონაწილეობა მიიღო ორდღიან სემინარში, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 19-20 მაისს .ზოგადად, სკოლაში სკოლის შინაგანაწესი ადგენს შრომის პირობების, ზოგადი პრინციპების, დასაქმებულის შვებულების, წახალისების და დისციპლინური წარმოების საკითხებს. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

1.სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი
2. სკოლის შინაგანაწესი
3. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად**

სსიპ. ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული განვითრებისა და 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის , ასევე 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, ასევე შრომითი ხელშეკრულებებითა და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრავს უფლება-ვალდებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტით არეგულირებს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხარისხს რომლის მიხედვითაც სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა გულისხმობს სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგსა და მათ მუდმივ სრულყოფას.

სკოლა ასევე ხელს უწყობს მშობელთა , მოსწავლეთა, თანამშრომელთა უფლებების დაცვას/ბრძანება N2-05; 19.09.23წ./, რაც განაპირობებს მათი დაცულობისა და მონაწილეობის წინაპირობებს და უზრუნველყოფს კიდეც მათ აქტიურ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში განხორციელებული ვიზტის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ სკოლას კარგად ესმის , რომ საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობასა და განათლების იმგვარად განვითარებას, რომ კურუკულუმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებსა და მოლოდინებს; ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმისა და წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით შექმნილი სკოლის კურიკულუმები ისგ გეგმებთან ერთად , ს.ს.გ.-ის შემადგენელი ნაწილია და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი(ბრძანება N11/1; 01.02.23წ./ სკოლის უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი /ბრძანება N2-08; 19.09.23წ./ , საქმისწარმოების წესი/ბრძანება N186/. სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა საქმისწარმოების განხორციელება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლის საქმისწარმოების წესში დოკუმენტბრუნვის ორგანიზებული მართვისთვის მიზნით და საჭირო მატერიალური სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოებისას გამოიკვეთა რამდენიმე გასაუმჯობესებელი მხარე. კერძოდ: სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული,დადგენილი ნომენკლატურა და მაგ, საერთო და საკადრო ბრძანებები არ გაიმიჯნებოდა ერთმანეთისაგან. სარეგისტრაციო ჟურნალებად გამოყენებული ფურცლები არ იყო დადგენილი წესით აკინძული, დამოწმებული და დაცული. სკოლამ გაითვალისწინა ვიზიტის ფარგლებში მიღებული უკუკავშირი და მოაგვარა ამ მიმართულებით პრობლემური საკითხები. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში არჩეულია უმაღლესი სტრუქტურული ერთეული სამეურვეო საბჭო რომელიც ამტკიცებს დისციპლინური კომიტეტის წევრებს მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემადგენლობით. სწორედ დისციპლინური კომიტეტი იკვლევს დისციპლინური გადაცდომებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით შესაბამისი სახდელების დაკისრებას. მათი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია დაინტერესებულ პირს სამეურვეო საბჭოში. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს სკოლის დირექტორის მიერ მიმდინარე წლის 19 სექტემბერს გამოცემული N2-05 ბრძანება, რომლითაც დარეგულირებულია მოსწავლეთა, პერსონალის, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია გადაწყვეტილებების, გასაჩივრების მექანიზმი. ასევე სკოლის შინაგანწესსა და შრომით ხელშეკრულებებში, სკოლის დირექტორის ბრძანებებში განსაზღვრულია გასაჩივერბის პროცედურებთან დაკავშირებული შესაბამისი მუხლები.

საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი პირია სკოლის დირექტორი, უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს სკოლის დირექტორი ან/და დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებებში მითითებულია გასაჩივრების ვადა და წესი. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესსა და მასწავლებელთა და სკოლაში დასაქმებულთა შრომით ხელშეკრულებებში. გარდა ამისა, დირექტორის ბრძანება N2-05 19.09.2023წ. -ით დამტკიცებულია სსიპ

ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი. სკოლა დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორად იცავს ყველას უფლებას, რომლის განხორციელებაშიც ჩართულია მანდატურის სამსახურიც. სკოლას ასევე ემსახურება სოციალური მუშაკი. სკოლის შინაგანაწესი და მშობლებთან ურთიერთობის დებულება საჯარო და ხელმისაწვდომია თითოეული დაინტერესებული პირისთვის და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას.

სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული რეფერირების წესი. აღნიშნული ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ სკოლაში დასაქმებული მანდატურები.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზები.

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი - 112, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - უსაფრთხოების სპეციალისტისა და დაცვის თანამშრომლების მობილური ტელეფონის ნომერი. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.
- საქმისწარმოების წესი.
- რეფერირების წესი

- სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი.
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

სკოლაში ვიზტისას გამოიკვეთა , რომ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის მიერ თავსდება სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი. დამრიგებელს ს.ს.გ.-ის საფუძველზე ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. სკოლის სასწავლო პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარე, ამ მიზნით მშობლებს, თანამშრომლებს და მოსწავლეებს გასაცნობად და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში

უკუკავშირის მისაღებად ეგზავნებათ სკოლის მართვის დოკუმენტებები, დებულებები, მარეგულირებელი წესები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, საკითხები განხილება პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, მოსწავლეების შემთხვევაში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში. სკოლა ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს საინფორმაციო დაფებს, რომლებიც განთავსებულია შენობის ორივე სართულზე. ასევე სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სკოლის შესახებ ძირიტადი ინფორმაცია.

ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები; სამეურვეო საბჭო; დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი; მრჩეველთა საბჭო; ი.ს.გ. ჯგუფი; მოსწავლეთა თვითმართველობა. აღნიშნული სტრუქტურულ ერთეულებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი). წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის უფლება. სასკოლო ცხოვრებაში კომიტეტებსა და საბჭოებში წევრობის საშუალებით უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა, კერძოდ, სკოლის სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული 6 წევრისგან. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან .

პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის სკოლის ყველა პედაგოგი.

მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს. დისციპლინურ კომიტეტი აირჩევა დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით სამეურვეო საბჭოს მიერ. მის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით

შედის პედაგოგი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სოციალური ქსელი
- სკოლის ვებგვერდი
- სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ(სამურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო და ა.შ.) წარმოდგენილი მასალები(ოქმები)

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, ასევე არ აქვს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა შესაბამის ორგანოსთან. სკოლის ტერიტორია მხოლოდ ნაწილობრივ არის შემოღობილი. ვინაიდან სკოლის ტერიტორია მხოლოდ ნაწილობრივ არის დაცული და არ არის უზრუნველყოფილი აღნიშნულ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოება, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა საყურადღებოა. უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ძაბვის ქვესადგურის ნაწილი მდებარეობს სკოლის ტერიტორიაზე, არ არის უზრუნველყოფილი ტერიტორიის გამხოლოება მავთულბადით ან რაიმე სხვა ტიპის გამყოფით, არ არის გამაფრთხილებელი ნიშნები. სპორტულ დარბაზში შესასვლელი ძირითადი კარის გვერდით მდებარე ოთახი არ არის კედლით გამოყოფილი, რაც ღია სივრცედ ებმის სპორტდარბაზს და ქმნის საშიშროებას თამაშების დროს მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილებისთვის. გასათვალისიწნებელია ისიც, რომ აღნიშნულ სივრცეში განთავსებულია სპორტის გაკვეთილებისთვის საჭირო რკინის ხელსაწყოები. სკოლის შენობის უკანა ნაწილში მდებარეობს ღია კიბე, რომელიც უკავშირდება სკოლის სარდაფს. არ არის დაცული სარდაფი, არის ღია მდგომარეობაში, რაც არ გამორიცხავს , რომ ინტერესის შემთხვევაში მოსწავლეები უპრობლემოდ მოხვდნენ აღნიშნულ სივრცეში, ამით ნამდვილად შეექმნებათ მათ უსაფრთხოების დაცვის პრობლემა. სკოლაში პირველადი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს სკოლის ექიმი, რომელიც სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ნაკლებად აკმაყოფილებს, რადგან არის ექიმ-სტომატოლოგი. სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N2-08 ბრძანების საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.10..2023 - 16.10.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს: შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება; შენობის**

ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება; შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმის შეთანხმება; სპორტული აქტივობების დროს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა; სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვა.

**2.. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებლების,კლასის დამრიგებლების, მანდატურებისა და სკოლის დირექციის ყოველდღიური შრომა-საქმიანობით. სკოლას სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის ბრძანება N2-05-ის საფუძველზე განსაზღვრული აქვს სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მარეგულირებელი მექანიზმები. სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N2-08 ბრძანების საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, აღნიშნული დოკუმენტში გაწერილი აქვს პროცედურულად ყველა საკითხი, განსაზღვრული ჰყავს პ/პირები.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

სკოლას ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სკოლის უზრუნველყოფის მიზნით საშტატო განრიგით გათვალისწინებული აქვს სკოლის ფსიქოლოგის შტატი, ასევე მანდატურის სამსახურის მიერ სკოლაში უზრუნველყოფილია სოციალური მუშაკის არსებობა და სკოლის მიერ გამოყოფილია მისთვის სპეციალური სამუშაო ფართი. სკოლაში სოციალური მუშაკის არყოფნის გამო და სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ მათი სამუშაოს შინაარსზე ჩვენ არ გვქონია ხელმისაწვდომობა, მიუხედავად ამისა, ავტორიზაციის ამ ეტაპზე სკოლაში ნამდვილად არის აქტიურად მომუშავე მანდატურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში უსაფრთხო სასკოლო გარემოს.ინდიკატორთან შესაბამისობა-- **შეესაბამება**

**4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს საშტატო განრიგით განსაზღვრული 2 დამლაგებელი, 1 მუშა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N2-10 ბრძანების საფუძველზე სკოლას შემუშავებული სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და უზრუნველყოფის მექანიზმი, პასუხისმგებელ

პირად განსაზღვრული ჰყავს სკოლის ექიმი. უნდა აღინიშნოს, რომ საკლასო ოთახებში, შესასვლელ სივრცეში, დერეფნებში, კაბინეტებში , კიბის უჯრედებში, ყოველდღიური მოხმარების სველ წერტილებში უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, მაგრამ სპორტული დარბაზის სველ წერტილებში, ვაჟების სველი წერტილების სივრცეში დამლაგებლის ინვენტარის სათავსო ოთახში, დამხმარე ოთახებში, სადაც განთავსებულია სპეციალური ხსნარები, წმენდის საშუალებები, ხელით გადასაადგილებელი სახელოსნო კიბეები, ფიცრები, სხვადასხვა მასალა სკოლისა, ნაკლებადაა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლის ეზოს ტერიტორიის შემოუღობავი ნაწილიდან სკოლა დაუცველია პირუტყვისაგანაც, რაც საფრთხეს უქმნის სანიტარული ნორმების დაცვას. სკოლას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული შესაბამისი მექანიზმი, რომლითაც დაარეგულირებდა სკოლის მთელ ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.11.2023 - 01.11.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს: სპორტული დარბაზის სველ წერტილებში, ვაჟების სველი წერტილების სივრცეში დამლაგებლის ინვენტარის სათავსო ოთახში, დამხმარე ოთახებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებიის დაცვა; სკოლის ეზოს ტერიტორიაზე სანიტარული ნორმების დაცვა; სკოლის მთელ ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის შემუშავება.**

**5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის ბრძანება N2-04--ის საფუძველზე სკოლაში შემუშავებულია პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი.ზოგადი განათლების უზრუნველყოფის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების პროცესში სკოლა ერთიანი სისტემის ნაწილია, რომელშიც ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების ფორმასა და მიზნებს. ამრიგად, სკოლაში მონაცემები მუშავდება როგორც ელექტრონული პლატფორმების, ასევე - მატერიალურ მატარებლებზეც.

პერსონალური მონაცემების დაცვა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებაა, შესაბამისად მონაცემთა დამუშავება მკაფიოდ რეგლამენტირებული პროცესია და სკოლა უზრუნველყოფს ყველა წევრის პერსონალური მონაცემების დაცვას, რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი და განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც აღნიშნული წესის მიხედვით აკონტროლებს სკოლაში პერსონალურ

მონაცემთა დამუშავების პროცესს,საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს მონაცემთა დამუშავების რისკების შეფასების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან,უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებასა და გადამზადება სპერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე,განიხილავს მონაცემთა სუბიექტის განცხადებებს, საჩივრებს და/ან მომართვებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხზე კონსულტაციას უწევს მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლაში დასაქმებულ პირებს აწარმოებს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს წარუდგენს ფაილური სისტემების კატალოგებს, გამოავლენს, შეისწავლის და სათანადო რეაგირებას ახდენს პერსონალურ მონაცემთა დარღვევის ფაქტებზე. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სსიპ-ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის ბრძანება N2-04-ის საფუძველზე სკოლაში შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი. აღნიშნულ დოკუმენტში განმარტებულია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N2-08 ბრძანების საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლას ჰყავს მანდატური, შესაბამისად მანდატურის სამსახურის უფლება-მოვალეობების შესრულება ითვალისწინებს ყოველდღიური დისციპლინური გადაცდომის აღრიცხვასა და დაფიქსირებას, შესაბამისად, სკოლის რეაგირებას. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N2-08 ბრძანება ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი წესრისგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ
- სსიპ-ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის ბრძანება N2-04- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი.

- სსიპ- ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N2-10 ბრძანება-სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და უზრუნველყოფის მექანიზმი
- სსიპ-ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის ბრძანება N2-05- სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მარეგულირებელი მექანიზმები.
- მოქმედი საშტატო განრიგი

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

სკოლის ძირითად შენობას, რომლის ფართობია 2965 კვ.მ, 2008 წელს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, დერეფნები, შემოსასვლელი , საკლასო ოთახები, კაბინეტები აღჭურვილია საჭირო რესურსებით, სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, მანდატურის ოთახი, დირექტორის კაბინეტი, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, პროფესიული პროგრამის განხორციელების სივრცე,რომელიც აღჭურვილია სათანადო რესურსებით, ფუნქციონირებს ბუფეტი, დერეფნებში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიმანიშნებლები გასასვლელისაკენ, ასევე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები. ყველა საკლასო ოთახში არის ამჟამად მოსწავლეთა რაოდენაბოზე გათვლილი მერხი და სკამი, მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდა/სკამი. სკოლას აქვს 27 პერსონალური კომპიუტერი და 12 ლეპტოპი.მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეებში განლაგებულია 2 კომპიუტერი და 1 პრინტერი. რესურს ოთახში 1 ლეპტოპი და 1 პრინტერი. სკოლას აქვს 5 პროექტორი, რომელთაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. პროექტორები განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ხელმისწავდომია ყველა საფეხურისათვის. ადმინისტრაციული საჭიროებისათვის გამოიყენება 3 ლეპტოპი და 2 პრინტერი. მანდატურის, ექიმის, ბუღალტერისათვის 3 კომპიუტერი და 2 პრინტერი; დირექტორისათვის 1 ლეპტოპი; დირექტ.მოადგილე 1 ლეპტოპი; საქმის მწარმოებლისათვის - 1 ლეპტოპი. სკოლას აქვს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი, სკოლაში არის უკაბელო ინტერნეტი (WiFi)-53მბ სიჩქარით. მასწავლებლებლებს, მოსწავლეებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ინტერნეტით სარგებლობა შეუძლია სკოლის შენობის ნებისმიერ სივრცეში.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

27 პერსონალური კომპიუტერი, 12 ლეპტოპი,მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეებში განლაგებული 2 კომპიუტერი და 1 პრინტერი, რესურს ოთახში 1 ლეპტოპი და 1 პრინტერი, 5 პროექტორი,ადმინისტრაციული საჭიროებისათვის განკუთვნილი 3 ლეპტოპი და 2 პრინტერი. მანდატურის, ექიმის, ბუღალტერისათვის 3 კომპიუტერი და 2 პრინტერი,დირექტორისათვის 1 ლეპტოპი,დირექტ.მოადგილისათვის 1 ლეპტოპი,საქმის მწარმოებლისათვის - 1 ლეპტოპი, კაბინეტებსა და ლაბორატორატორიებში განთავსებული რესურსები,საკლასო ოთახებსა და სკოლის სპორტულ და სააქტო დარბაზებში განთავსებული რესურსები სკოლას ხელს უწყობს ხელსმისაწვდობი გახადოს არსებული რესურსები. სკოლას აქვს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი, სკოლაში არის უკაბელო ინტერნეტი (WiFi)-53მბ სიჩქარით.

ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, სკოლა რეაბილიტირებულია, სკოლის დერეფნები, საკლასო ოთახები, სველი წერტილები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვა დამხმარე ოთახები შესაბამისი ფართისაა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. <u>სკოლას არ აქვს პანდუსი, რომლითაც ისარგებლებდა შშმ პირი, სველი წერტილები არ არის ადაპტირებული.</u>

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.11.2023 - 01.11.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლამ მოაწყოს პანდუსი და უზრუნველყოს სველი წერტილების ადაპტირება**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. ფართე დერეფნები, ბიბლიოთეკა გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისთვის. სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. საკლასო სივრცეში ხშირად იმართება პროექტების პრეზენტაციები. სკოლის გარემოში თვალსაჩინო ადგილებზე

გამოკრული და განთავსებულია მოსაწავლეთა ნამუშევრები, პროექტები, გამოფენები. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლეებს თავი იგრძნონ ჯანსაღ გარემოში.ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. **დაწყებითი საფეხურის** კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერულ კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები. საკლასო ოთახებში განთავსებულია საჭირო, მიზნობრივი რესურსები. **საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საბუნებისმეტყველო მიმართულებით ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია ცალკე საკლასო ოთახში, რომელიც ნაწილობრივ აღჭურვილია სტემ საგნების გაკვეთილებისთვის საჭირო ინვენტარით. სპორტის გაკვეთილებისთვის დახურული სპორტული დარბაზის ინვენტარი განთავსებულია სპორტის რესურსების ოთახში დარბაზის გვერდით. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის სკოლაში არის კომპიუტერებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი.

სკოლის სასწავლო და მატერიალური ბაზა შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად. სახელმძღვანელოების და ელექტრონული სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება ყოველწლიურად. ამ პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, ბიბლიოთეკარი, დირექტორი. რესურსების შერჩევა ხდება პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე. ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს თანაბარი წვდომა შერჩეულ რესურსებზე.

**სამივე საფეხურის** კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია
- მიღება-ჩაბარების აქტები
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის შიდა აზომვითი ნახაზი
- ბიბლიოთეკის დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.6. საინფორმაციო რესურსები

### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

სკოლის ინფრასტრუქტურის ადგილზე გაცნობის, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას სულად აქვს გააზრებული თანამედროვე ტექნოლოგიების როლი სწავლა-სწავლების პროცესში.

სკოლა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ მიდგომებს იყენებს ერთის მხრივ, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისება/გამრავალფეროვნებისთვის და მეორეს მხრივ, მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის კომუნიკაციის გამარტივებისთვის.

სკოლა უზრუნველყოფს ტექნოლოგიების ინფრატრუქტურის ხელმისაწვდომობას, როგორც ადმინისტრაციული საქმიანობის გამარტიებისთვის, ისე სასწავლო პროცესის გამრავალფეროვებისთვის და სასკოლო საზოგადოებას შორის კომუნიკაციის გამარტივებისთვის.

სკოლა აღჭურვილია თაანამედროვე ტექნიკით. გამოყოფილია კომპიუტერული ლაბაბორატორია/სამუშაო სივრცე მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის:

კომპიუტერული სივრცე მოსწავლეებისთვის- სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერული ლაბორატორიით, განთავსებულია 27 პერსონალური კომპიუტერი და 12 ლეპტოპი. კომპიუტერული სივრცე მასწავლებლებისთვის- მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეებში განლაგებულია 2 კომპიუტერი და 1 პრინტერი. რესურს ოთახში 1 ლეპტოპი და 1 პრინტერი.

სკოლას აქვს 5 პროექტორი, რომელთაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. პროექტორები განთავსებულია კომპიუტერულ ლაბოატორიაში და ხელმისწავდომია ყველა საფეხურისათვის.

კომპიუტერული სივრცე ადმინისტრაციისთვის- ადმინისტრაციული საჭიროებისათვის გამოიყენება 3 ლეპტოპი და 2 პრინტერი. მანდატურის, ექიმის, ბუღალტერისათვის 3 კომპიუტერი და 2 პრინტერი; დირექტორისათვის 1 ლეპტოპი; დირექტ.მოადგილე 1 ლეპტოპი; საქმის მწარმოებლისათვის - 1 ლეპტოპი.

სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აქვს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი, სკოლაში არის უკაბელო ინტერნეტი (WiFi)-53მბ სიჩქარით. მასწავლებლებლებს, მოსწავლეებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ინტერნეტით სარგებლობა შეუძლია სკოლის შენობის ნებისმიერ სივრცეში.

საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან ელ.საგანმანათლებლო რესურსებს. მოსწავლეები ქმნიან კომპლექსურ დავალებებს ელექტრონული რესურსების გამოყენებით.

სკომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგს შექმნილი აქვს მოსწავლეთა კლუბი პროგრამირებაში, სადაც გაწევრიანებულები არიან კომპიუტერული მეცნიერებებით დაინტერესებული მოსწავლეები და იღრმავებენ ცოდნას კომპიუტერული პროგრამირების მიმართულებით.

სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა არაფორალური ორგანიზაციების, სახელმწიფო/კერძო უნივერსიტეტების, საგანმანათლებლო ცენტრებისა და ტექნოლოგიური კომპანიების მიერ ორგანიზებულ უფასო ექტრაკურიკულურ აქტოვობებში , რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა დაინტერესებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მომავლის პროფესიებისადმი და ასევე, ტექნოლოგიური განათლების ხელშეწყობას. ამ კუთხით, მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა ტექნოლოგიურ კონფერენციებში, ვებინარებში, სამუშაო შეხვედრებში, ბანაკებში, უფასო კურსებსა და მრავალფეროვანი ინიციატივებში.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველჰყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას, მუდმივი პროგრესისა და ახალი, ინოვაიური მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა/განვითარებისთვის სკოლას გაწერილი აქვს ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა-

შესაბამისად, დასახული აქვს მომდევნო სასწავლო წელს განსახორციელებლი აქტივობები, რომლებიც პასუხობს როგორც სწავლა-სწავლების, ასევე სკოლაში არსებულ ადმინისტრაციულ პროცესების მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით- ახალი, ინოვაციური მიდგომების დანერგვას, სკოლის მუდმივი ციფრული ტრანფორმაციისთვის. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის და სკოლის ადმინისტრაციის წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა, ამასთანავე, სკოლას ჰყავს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას შემუშავებული აქვს  კომპიუტერულ ლაბორატორიაში ქცევის წესები, რომელიც განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიებში თვალსაჩინო ადგილას.

სკოლის კომპიუტერული ტექნიკით გამოყენების გეგმაში გაწერილია გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს/მასწავლებლებს შეუძლიათ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება/გატანა.

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს სოციალურ გვერდს, ბლოგს, ელექტრონულ ჟურნალს, ელ-ფოსტას, სატელეფონო შეტყობინებებს, სოციალურ ქსელების, მესენჯერ და MS Teams ჯგუფებს.

მშობელთა კრებები და კათედრის შეხვედრები ხშირ შემთხვევაში ტარდება ონლაინ. სკოლის ადმინისტრაცია და კათედრები აქტიურად იყენებენ MS Office 365 პლატფორმას ინფორმაციის შენახვის, გაცვლის და დამუშავების მიზნით. სკოლის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს ონლაინსაქარალდეების სისტემა One Drive-ღრუბლოვან საცავში. მაგ: შექმნილია

ექსტერნების ტესტების საცავი, სადაც განთავსებულია სხვადასხვა კლასის ტესტები, მასზე ყველა საგნის მასწავლებელს აქვს წვდომა და შეუძლია ჯგუფურად მუშაობა, რედაქტირება.

სკოლა საჭიროების შემთხვევაში, იყენებს Forms-ის კითხვარს ინფორმაციის მოგროვების, კვლევისა და მოგროვებული ინფორმაციის დამუშავების პროცესის გასამარტივებლად. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა - დანართი N27
- სკოლის ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა - დანართი N28
- ინტერნეტით უზრუნველყოფის დოკუმენტი - დანართი N36
- დანართი N22-სკოლის facebook გვერდის ბმული
- დანართი N30 - ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა
- დანართი N36-ინტერნეტით უზრუნველყოფის დოკუმენტი
- დანართი N54-კლუბის-წესდება-Techno club
- დანართი N63-ჩეტბოტისა და ვებგვერდის ლინკი. TBC -თიბისის დაფინანსებულ კურსზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები
- დანართი N66-ციფრული მოქალაქეობა სკოლაში
- დანართი N64-ცადე,ისწავლე გაუზიარე დოკუმენტაცია
- დანართი N65-technovation girl საერთაშორისო პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანება N186-ის საფუძველზე სსიპ-ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლაში დამტკიცდა საქმისწარმოების წესი, რომელშიც ცვლილებები განხორციელდა სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის ბრძანება N2-01-ის საფუძველზე. სკოლამ მიმდინარე წელს შეიმუშავა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესში გამოეყენებინა სპეციალური ნომენკლატურა, რათა სწორად, შესაბამისად დაეხარისხებინა შემოსული, გასული დოკუმენტაცია, საერთო და საკადრო ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულებები. შესაბამისად მოაწესრიგა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები. ჟურნალები აკინძულია სკოლაშივე, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭედითა და დირექტორის ხელმოწერით, აღნიშნულით უზრუნველყოფილია მათი სანდოობა და მთლიანობა. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ.
გარდა ამისა, სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას "eflow"-სა და Eschool-ის ბაზებს. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ასევე, სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და დამუშვებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციაც.
საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ვინაიდან სკოლის ბიუჯეტი არასაკმარისია, სკოლას არ აქვს არქივისთვის გადაცემული დოკუმენტაცია და თავად უზრუნველყოფს გასული წლების დოკუმენტაციის შენახვას სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. ბრძანებები

სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. შენობაში არსებული უწყვეტი დენისა და ინტერნეტის შესაძლებლობა უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სრულფასოვან მუშაობას. სკოლას აქვს სოციალური ქსელი - ოფიციალური facebook გვერდი, ასევე ელექტრონული ფოსტა: **Mtskheta2@mes.gov.ge,** სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით eSchool.emis.ge, რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები. სკოლაში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი, ასევე, მასწავლებლები და თანამშრომლები საკომუნიკაციოდ იყენებენ TEAMS პროგრამას. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**

სკოლაში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის ბაზაში სკოლის პროფილი, რომლის ყველა ველი შევსებული იყო სრულყოფილად. სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. ელექტრონული ბაზა, მუდმივად განახლებადია ინფორმაციის თვალსაზრისით და შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასურებელი დოკუმენტები და სხვა. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი . ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

სკოლა საჭიროებისამებ მუდმივ კომუნიკაციაშია რაიონულ რესურსცენტრთან, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა თუ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

გარდა ამისა, „ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტისა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ'' ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგინოს და გააცნოს ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 27 იანვრის №75599 ბრძანებით, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულებისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №365 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენის ვადებს და წარდგენისას - ინფორმაციას მოთხოვნილი თანდართული ცხრილების შესახებ.

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, სკოლა წარადგენს ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" მე-11 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მრჩეველთა საბჭოს წარედგინება დირექტორის ანგარიში სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის'' 34-ე მუხლის თანახმად, ინკლუზიური

განათლების შიდა მონიტორინგს სკოლა ახორციელებს არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი ჯგუფი ადგენს დასკვნას, რომელსაც არაუგვიანეს 7 დღისა წარუდგენს სამინისტროს.

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის eSchool-ის სისტემა
- სკოლის E-flow-ს სისტემა
- სკოლის საქმისწარმოების წესი
- დოკუმენტბრუნვის სპეციალური ჟურნალები
- სხვადასხვა უწყებასთან სკოლის მიერ წარდგენილი ანგარიშები

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები,

ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. <u>სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;</u>

სკოლა საზოგადოების წინაშე წარადგენს საჯარო ინფორმაციას სოციალური ქსელის, ონლაინ სივრცეში შექმნილი ჯგუფების, საშუალებით. მოსწავლეთა მშობლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან, ეცნობიან მასწავლებელთა კომენტარებს. სკოლა ნებისმიერ სიახლეს პედაგოგებს აცნობს პედაგოგიურ საბჭოზე. საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან/და გამოიკრება თვალსაჩინო ადგილას.
საზოგადოებასთან კომუნიკაციის კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს კომუნიკაციის წესი, სადაც გაწერილია მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და წესი, რომელსაც დაეყრდნობა სკოლა სამომავლო საქმიანობებში. კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ სადამრიგებლო კლასებთან ურთიერთობისათვის მესენჯერ-ჯგუფები, ელექტრონული პლატფორმა Microsoft Teams საკლასო ჯგუფები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს უზრუნველყოფილი აქვთ ურთიერთობები საჭიროებისამებრ. გარდა ამისა, ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სასკოლო სიახლეები, ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემუშავებულ სპეციალურად სკოლებისთვის შექმნილ ვებგვერდს, სადაც ამ ეტაპისთვის განთავსებულია აუცილებელი , მნიშვნელოვანი ინფორმაცია. აღნიშნული ვებგვერდი განახლებადია ყოველდღიურად და მიზნობრივად. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ბრძანებით განსაზღვრული

ჰყავს პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლის განმარტებით, სოციალური ქსელისა და ვებგვერდის ადმინისტრატორი პირი უზრუნველყობს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას. ისეთ საკითხებზე, რომელიც საჭიროებს სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რეაგირებას, უზრუნველყოფს სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაციის დირექციისთვის გადაცემას. სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, სადაც ჩანს , თუ როგორ მოხდება შემოსული ინფორმაციის დამუშავება, შესაბამისი რეაგირება და დამუშავებული ინფორმაციის გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემუშავებულ სპეციალურად სკოლებისთვის შექმნილ ვებგვერდს, სადაც ამ ეტაპისთვის განთავსებულია აუცილებელი , მნიშვნელოვანი ინფორმაცია. აღნიშნული ვებგვერდი განახლებადია ყოველდღიურად და მიზნობრივად.ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება ასევე პირებს შორის პირისპირ და წერილობითი კომუნიკაციის, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრით, სკოლის სოციალურ ქსელში (Facebook) და teams- ის მიზნობრივ ჯგუფებში გამოქვეყნებით. ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლის ღირებულებები, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისთვის. საჯარო და აუცილებელი ინფორმაცია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლა ამ ეტაპზე ამუშავებს და სრულყოფს ვებგვერდს , რომელზეც ეტაპობრივად აქვეყნებს და გამოაქვეყნებს ინფორმაციასა და შესაბამის ცვლილებებს სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ინდიკატორთან შესაბამისობა-- **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სამოქმედო გეგმა
- სკოლის ვეგვერდი
- სკოლის სოციალური ქსელი
- ელექტრონული ჟურნალები
- მშობელთა მესენჯერ-ჯგუფები
- სკოლის საინფორმაციო დაფა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს: ვაუჩერული დაფინანსება, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. ყოველი კალენდარული წლის დაწყებამდე სკოლაში იქმნება ფინანსური საქმიანობის სამოქმედო გეგმა - საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც საბოლოო სახით მტკიცდება სამეორვეო საბჭოს სხდომაზე და საჭიროებისამებრ , წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული შეცვლილი ფინანსური დინამიკის შესაბამისად განიხილება, იცვლება და ცვლილებები მტკიცდება სკოლაში არსებული სამეურვეო საბჭოს მიერ. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას უზრუნველყოს სკოლამ კომუნალური გადასახადები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, საკანცელარიო ნივთები, საგნობრივი კათედრების მიერ მოთხოვნილი სასწავლო რესუსები და სხვა, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებელად წარიმართოს. ინდიკატორთან შესაბამისობა-- **შეესაბამება**

**2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლა ფინანსურ რესურსებს განკარგავს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპით. სკოლაში ვიზიტისას დადგინდა, რომ ტარდება საბაზრო კვლევა თითოეულ საქონელზე. ასევე, ყოველი თვის ბოლოს კეთდება საკასო ხარჯი ბანკის ამონაწერის

საფუძველზე, ხოლო წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსები.

სკოლას სახელმწიფოსგან ერიცხება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერის შესაბამისი ოდენობის თანხა, რომელიც მიმართულია სასკოლო სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად, როგორიცაა სასწავლო რესურსების, მასალების შეძენა გადაცემა პედაგოგებისთვის, ასევე სკოლის ადმინისტრაციისთვის სკოლაში მიმდინარე პროცესების სრულყოფილად წარმართვისთვის. ამ ყველაფრის სისრულეში მოსაყვანად სკოლა ნოემბრის თვეში ამტკიცებს მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას , რომელის ცვლილებაც შესაძლებელია მოხდეს გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე. აწარმოებს ბაზრის კვლევებს შესასყიდი საქონლის ფასების დადგენის მიზნით და დებს ხელშეკრულებებს რომელიც მომდევნო წლის 30 იანვრამდე იტვირთება შესყიდვების სამსახურის გვერდზე. საბოლოოდ ყოველწლიურად სკოლა 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს ანგარიშს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ რაც ასახულია სამეურვეო საბჭოს შესაბამის ოქმში. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება  და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. სამეურვეო საბჭოში, არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები და მათი ინტერესებისა თუ აზრების გათვალისწინებით ხდება ბიუჯეტის შედგენა. ბიუჯეტი, პერიოდულად საჭიროებს გადახედვას და ცვლილებას, რაც განპირობებულია სკოლის ინტერესებიდან. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.  ინდიკატორთან შესაბამისობა--**შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

***კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.***

- სკოლის მიერ დამტკიცებული მოქმედი ბიუჯეტი

- სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტის პროექტი
- შესყიდვების გეგმა
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, მისი დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი აგრეთვე გამოკრულია სკოლის ფოიეში. მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი შედგენილია და დამტკიცებულია სკოლის მიერ. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) შიდა ინსტრუქციები დანართი №2 -ის შესაბამისად. **4.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით. ამდენად, სკოლის მიერ მოწოდებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის მიხედვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი. **4.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.

სკოლას მშობლებთან ასევე ქონდა მოსწავლეთა პერხონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ შეთანხმება ხოლო აღნიშნული ინფორმაცია ცალკე მუხლად არ იყო გამოყოფილი ხელშეკრულებებში. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სამომავლოდ გაითვალისწინოს აღნიშნული **4.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
- მშობელთა კრების ოქმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო კოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. მოწესრიგებული აქვთ მოსწავლეთა პირადი საქმეები. **4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში არსებული სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სოცილურ ქსელით და (სკოლის ოფიციალური ვებ გვერდი ინფორმაციის შევსების პროცესშია (https://skolebi.emis.ge/schools/) ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი, **სკოლას მიეცა რჩევა, რომ ვებ.გვერდზე განათავსოს და ხშირად განაახლოს ინფორმაცია 4.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით ოფიციალურ ვებგვერდზე კი განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: მისია, ხედვა და ღირებულებეი; სტრუქტურა; სტრატეგიული გეგმა; წლიური სამოქმედო გეგმა, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია საქმისწარმოებელი. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებს

შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. მომავალ წლებში სკოლა გეგმავს კითხვარების შემუშავებას სასურველი თემების განხილვის მიზნით. **4.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის დებულება;
- ვებ.გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/
- მშობელთა ხელშეკრულებები
- მოსწავლეთა პირადი საქმეები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას ცალკე დოკუმენტად შემუშავებული არ აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, თუმცა, სკოლის მიერ მოწოდებული დამრიგებელთა ანგარიშებით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებამდე ხვდება პირველკლასელთა მშობლებსა და მოსწავლეებს, აცნობს სასკოლო გარემოს, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების ნაწილში. სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, აგრეთვე სხვა სკოლიდან გადმოსული და უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მოსწავლეების შემთხვევებში ადაპტაციის წესი. **4.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებელი მუდმივად ზრუნავს ახალ მოსწავლეებზე. პირველკლასელებს აქვთ საშუალება, დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრებისა და აქტივობების საშუალებით სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ მუშავდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ამასთანავე მულტიდისციპლინური

გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ცხადდება კონკურსი ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. **4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის დირექციასთან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. **4.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. აგრეთვე გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. **4.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სასკოლო საზოგადოება და მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები: კლუბ ,,Techno -Club"- რომლის დაარსების იდეაც გამომდინარეობს მოსწავლეთა საჭიროებიდან. კლუბის მუშაობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ალგორითმული აზროვნების ჩამოყალიბებას. ამაღლებს ცოდნა პროგრამირებაში და მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას შექმნან სხვადასხვა პროექტები და მიიღონ მონაწილეობა კონფერენციებში; მათემატიკის კლუბი. აღნიშნული კლუბები ახორციელებენ დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს მოსწავლეებთან, სკოლის სხვა პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. **4.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.1.6 ინდიკატორი ვერ შეფასდება.დასტურდება**

(მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამები;
- კლუბის დებულებები;
- კლუბის სამოქმედო გეგმები;
- განხორციელებული პროექტების ანგარიშები

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს მოსწავლეთა  პროფორიენტაციის პროგრამა, რომელშიც გაწერილია ყოველთვიური აქტივობების გეგმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროფესიული განათლების კუთხით სკოლაში ფუნქციონირებს კულინარიის წრე, სადაც აღნიშნული პროფესიით დაინტერესებული მოსწავლეები პრაქტიკულად ეუფლებიან შესაბამის უნარ-ჩვევებს. გარდა ამისა, კლასის დამრიგებელი კლასის საათზე ესაუბრება ბავშვებს სხვადასხვა პროფესიაზე. კლასის საათის მიზანია სხვადასხვა პროფესიებსა თუ 21-ე საუკუნისათვის ყველაზე მეტად მოთხოვნად და მნიშვნელოვან პროფესიებზე ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე ვეყნისათვის საჭირო პროფესიების პოპულარიზაცია. პერიოდულად იგეგმება სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანების

მოწვევა და საუბარი მათ პროფესიაზე, პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით. აგრეთვე დაგეგმილია მოსწავლეთა ვიზიტები სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში. **4.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებით, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. აგრეთვე სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და სთავაზობს სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას. **4.2.2.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.2.3. ინდიკატორი ვერ შეფასდება.დასტურდება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ანგარიში;

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ მცხეთის N2 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლას აგრეთვე დამტკიცებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწეოდების რეგულაცია (2023 წლის 19 სექტემბრის ბრძანება N2-03). სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ეწყობა შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლა. სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების საქმოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები. **ინდიკატორი 4.2.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებელს ყურადღება გამახვილებული აქვს მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგს და დეტალურად გაეცნენ მის საქმიანობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მუდმივად ხორციელდება სსსმ მოსწავლეების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. სპეც. მასწავლებელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სსსმ მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებში. **ინდიკატორი 4.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწეოდების რეგულაცია (2023 წლის 19 სექტემბრის ბრძანება N2-03)

*4.2.4.* **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კვების სერვისს, შესაბამისად სკოლას წარმოდგენილი აქვთ დოკუმენტები: სსიპ ქალაქ მცხეთის №2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №3 დოკუმენტების მიხედვით სკოლას მოიჯარისთვის გადაცემული აქვს სკოლის პირველ სართულზე არსებული 56.96 კვ.მ.

ფართის ინვენტართან ერთად 1 წლით სარგებლობაში, სკოლის ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით. **ინდიკატორი 4.2.4.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით, მხარეთა შეთანხმებით, შეთანხმებული წესითა და პირობებით. სხვა დამატებითი არასავალდებულო მომსახურების სერვისები სკოლას არ აქვს. **ინდიკატორი 4.2.4.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3.** სკოლაში არსებული ბუფეტი თავის საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი 4.2.4.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ მცხეთის №2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №3
- ელექტრონული აუქციონის მასალები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება - დაწყებითი საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს ''კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ''ცალკე დოკუმენტად, რომელშიც მუხლებად არის გაწერილი სასკოლო კურიკულუმის რაობა, რეგულაციები, პროცესში ჩართული მხარეები და პროცესზე პასუხისმგებელი პირები, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ეტაპები, პროცესის კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან. დოკუმენტის მიხედვით, მონაწილე მხარეებს მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები და ვალდებულებები აქვთ კურიკულუმის განვითარების ყველა ეტაპზე. დოკუმენტი იძლევა საშუალებას, გათვალისწინებული და ასახული იყოს სასკოლო კურიკულუმში მონაწილე მხარეების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლა 2020-2021 სასწავლო წლიდან ჩართულია ''ახალი სკოლის მოდელის'' პროექტში, აქვს თემატური დაგეგმარების და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, როგორც ისინი აცხადებენ, საგნობრივ კათედრებზე ხდება მასწავლებლების მოსაზრებების, ხედვების წარდგენა, გამოცდილების გაზიარება, კოლეგებისაგან იღებენ უკუკავშირს, რასაც ითვალისწინებენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებლები აცხადებენ, რომ კურიკულუმზე მუშაობას გააგრძელებენ მთელი წლის მანძილზე, დაგეგმავენ სამუშაო შეხვედრებს კათედრაზე, იმსჯელებენ კურიკულუმის დახვეწაზე, გაითვალისწინებენ კოლეგების პროფესიული მიღწევებს, როგორც სასწავლო პროცესში წარმატებით განხორციელებულ აქტივობებს, ასევე განახორციელებენ პროექტებს არაფორმალური განათლების მიმართულებით. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი '' სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია'', რომელშიც აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლითაც დაგეგმილია სკოლის გრძელვადიანი და მოკლევადიანი განვითარება. დოკუმენტის მიხედვით დაგეგმვა მიმდინარეობს თანამონაწილეობის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების პრინციპების საფუძველზე, რაც იძლევა საშუალებას, სკოლამ ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმვაში ჩართულია სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინირებულად მუშაობს, კრებს ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებიდან, აანალიზებს და ასახავს სტრატეგიულ მიზნებისა და სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიაში. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის შემდეგ, დოკუმენტი საბოლოო სახეს იღებს. სტრატეგიული მიზნების მიღწევის მიზნით სკოლა განსაზღვრავს არა მხოლოდ პრიორიტეტებს, არამედ ამ პრიორიტეტების მიღწევის გზებს, რესურსებს, ვადებს, ითვალისწინებს შესრულების მექანიზმსაც მონიტორინგის გზით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სკოლის მისია, რომელის თანახმად სკოლამ უნდა შექმნას პატრიოტი, ტოლერანტი, პროფესიონალი მოქალაქის ფორმირებისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა. სასკოლო გეგმა იზიარებს მოსწავლისთვის სწავლა-სწავლებაში ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა პრობლემის ანალიზი და გადაჭრა, კომუნიკაცია, წიგნიერება, თანამშრომლობა,ეთიკა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, დამოუკიდებლად სწავლა და სხვა. სასკოლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, მათ შორისაა მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა. სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლება,ს აგნობრივი პროგრამები ორიენტირებულია სწავლების გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო ერთეულები ორგანიზებულია სავალდებულო თემებად, რომელთა დამუშავებაც ხდება სწავლების ყველა საფეხურზე, მათ შორის დაწყებით საფეხურზე. სადამრიგებლო პროგრამებში ასახულია მოსწავლეებისათვის აქტუალური თემები. **ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმა, ''კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია'' აღწერს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტების მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. სკოლა იაზრებს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასასრულს უნდა მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების კრიტიკულად გააზრება. მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე დგება ცვლილებების საკითხი. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში.
ცალკე დოკუმენტის სახითაა წარმოდგენილი ''მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია'', რომლის თანახმად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სამუშაო ჯგუფი შექმნილია სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების წარმომადგენლებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება

ხდება არსებული მონაცემების სტატისტიკური გაანალიზებით, მათ შორის წინა წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის საფუძველზე. სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უზრუნველყოფას არეგულირებს სკოლის წარმოდგენილი კიდევ ერთი დოკუმენტი - ''ხარისხის მართვის მექანიზმი'', რომელიც ფუნქციურად უკავშირდება მნიშვნელოვან კომპონენტს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას - აღრიცხოს და გამოავლინოს ცვლილებების საჭიროება სასკოლო კურიკულუმში შეფასებისა და რევიზიის შედეგად. ადგილზე ვიზიტის დროს შედგა შეხვედრა სამუშაო ჯგუფთან, რომელიც მუშაობდა სტრატეგიულ დაგეგმარებაზე, ახორციელებდა კოორდინირებულ შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა ადასტურებს მათი მონაწილეობის მაღალ ხარისხს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4.კურიკულუმის მასალები ხელისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, შექმნილია სკოლის ვებგვერდი, Teams პლატფორმაზე ჯგუფები, სკოლის ფეისბუქ გვერდი, სასაუბროები - ე წ ჩატები, სკოლის მატერიალური სივრცე იძლევა საშუალებას, კურიკულუმის მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. **ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია**
- **მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია**
- **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი**
- **სკოლის ფბ გვერდი, 5 ივლისის ქრონიკა**
- **სადამრიგებლო პროგრამა**
- **კათედრის სხდომის ოქმები**
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის 2023-24 სასწავლო წლის I სემესტრის**
- **სამოქმედო გეგმა**

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების, მეთოდიკური ორიენტირების მოთხოვნებს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის, განვითარების გზას და აჩვენებს, თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი. წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ხოლო შედეგები განისაზღვრება საფეხურის, სასწავლო კურსის დონეზე სამიზნე ცნებების სახით. შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური დავალებები, რომელებიც კურიკულუმებში პირობის სახითაა წარმოდგენილი და ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებს მოძრავ თამაშებს, ფესტივალს. მასში იკვეთება მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მიგნებული მოსწავლეთა საჭიროება, ინტერესები. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. კათედრის მიერ ნიმუშის სახით მოწოდებულია მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება მიიღოს სრული ინფორმაცია შესრულებული აქტივობების შესახებ. კონკრეტულად კი სპორტის სახეობა მძლეოსნობაში გაწერილი საკითხებისა და სამიზნე ცნებებიდან გამომდინარე კრიტერიუმების მიმართებაში. რა ცოდნით მიაღწია წარმატებას, რა გამოუვიდა კარგად ან რა იყო ხელის შემშლელი ფაქტორები წარმატების გზაზე. ყველაფერი ეს კი თავისთავად მოსწავლის სწავლის პროცესის მართვის საშუალებას იძლევა. გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. დაწყებით საფეხურზე შემუშავებულ კურიკულუმებში გაწერილია გრძელვადიანი მიზნები, რომელსაც აზუსტებს და მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. სკოლის ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე შერჩეულია თემები. ყველა თემაში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება. შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც პოზიტიურ სასწავლო გარემოს ქმნის და იწვევს ყველა იმ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს

მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ აქვთ საკმაოდ კარგი გამოცდილება იმისთვის, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, გუნდურობას, კომუნიკაციას. რომელიც კურიკულუმებში გაწერილია სპორტული ფესტივალის, მოძრავი თამაშის, პროექტის, კედლის გაზეთის, ბუკლეტის თუ პროექტის სახით. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის გეგმის შესაბამისად გეგმავს უზრუნველყოს თანაბარ ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი ყველა მოსწავლისთვის, რაც თავის მხრივ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებას გულისხმობს. დაწყებითი საფეხურის კათედრა მუშაობს სპეციალურ მასწავლებლებთან ერთად და მასთან ერთად იგეგმება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. ამ მხრივ სკოლა წარმოდგვიდგენს სასკოლო აქტივობების ჩამონათვალს, ადაპტირებული კომპლექსური დავალებას, სადაც იკვეთება დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომები მოსწავლეთა საჭიროებიდან, ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. სკოლა ასევე 2021-2022 სასწავლო წლიდან ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებითა და სამუშაო შეხვედრებით მასწავლებლებმა უკეთ გაიაზრეს დიფერენცირების არსი და მისი პრაქტიკაში გადმოტანა. ხოლო მიმდინარე წლიდან კი სკოლაში ,,მრავალშრიანი მხარდაჭერის სისტემის MTSS" საპილოტე პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების შემდეგ განხორციელდა დიაგნოსტიკური ტესტირება, ექსპერტის უკუკავშირისა და ტესტირების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მოსწავლეთა საჭიროებები. მასწავლებლებთან გასაუბრებამაც დაადასტურა სკოლის პრაქტიკული გამოცდილება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მიმართულებით. მათ ისაუბრეს კურიკულუმებში თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნის შესახებ, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მოსწავლეთა შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულ სპორტულ აქტივობებზე. სკოლაში გამოყოფილია საკლასო ოთახი - საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც სივრცე ორგანიზებულია მოსწავლისათვის მხარდამჭერ გარემოდ. ლაბორატორია იძლევა საშუალებას, ჩატარდეს სადემონსტრაციო ცდები ან მოეწყოს ელექტრონული მასალების პრეზენტაცია თემების მიხედვით, სივრცე იძლევა საშუალებას, მასწავლებელმა გამოიყენოს კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს შეუძლიათ გამოყენონ სასწავლო რესურსები როგორც აინშტაინის ლაბორატორიის აღჭურვილობიდან, ასევე წინა წლების მაძილზე შეგროვებული სადემონსტრაციო მასალა. ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილსაა გამოკრული უსაფრთხოების წესები, სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინოება. ლაბორატორია უკავშირდება საცავ ოთახს, რომელშიც საბუნებისმეტყველო კათედრა ინახავს ქიმიურ რეაქტივებს,

აგრესიული ქიმიკატები გამიჯნულია სხვა რეაქტივებისაგან, საცავთან მხოლოდ მასწავლებლებს აქვთ წვდომა. **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლის შეფასების მთავარ მიზნად სწავლა სწავლების ხარისხის მართვას გეგმავს, რაც თავის მხრივ სწავლის ხარისხის განვითარებაზე ზრუნვას და სწავლა სწავლების ხარისხის მონიტორინგს გულისხმობს. რის შესაბამისადაც განსაზღვრავს მოსწავლის შეფასების ამოცანებს. ხოლო ამ ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში უპირატოსობას კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს ანიჭებს. სკოლა მიმდინარე წელს გეგმავს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს შეფასების პირველი მოდელი, რაც ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილია 1-4 კლასებში გამოყენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო მე-5 კლასში(II სემესტრი) და მე-6 კლასში გაწერილია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც აჩვენებს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი, მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ახდენს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას. სკოლა ასევე მოსწავლის შესაფასებლად, განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევების განსაზღვრისთვის იყენებს SOLO ტაქსონომიას, რომელიც ამ ეტაპისთვის ნიმუშის სახით წარმოდგენილია მხოლოდ ერთი თემიდან გამომდინარე(კალათბურთი) და შესაძლებლობას იძლევა ინფორმაციის მრავალმხრივ სპექტრს მოსწავლის ცოდნასთან დაკავშირებით, მისი გაცნობისა და შესწავლისთვის. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
5. სკოლა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან გამომდინარე გეგმავს განაახლოს სასკოლო კურიკულუმი წინა წლების მონაცემების საფუძველზე. სწავლა სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილება, გამოწვევები, ანალიზის შედეგები, მშობლებთან კონსულტირება, ინფორმაციის მოგროვება სხვადსხვა წყაროზე დაყრდნობით იქნა გათვალისწინებული სასკოლო კურიკულუმისა თუ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას. მასწავლებლებთან ინტევიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები, სადიაგნოსტიკო წერები, SOLO ტაქსონომიის მიხედვით შეფასებული კომპლექსური დავალებები, რეფლექსიის, თვითრეფლექსიის, მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზის საფუძველზე მოხდება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 1-6 კლასის კურიკულუმები
- 2023-2024 სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკები
- ადაპტირებული სასკოლო აქტივობები
- ისგ სამოქმედო გეგმა
- კომპლექსური დავალება
- ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მცხეთის N 2 საჯარო სკოლა დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მასწავლებლები აიდენტიფიცირებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობა, ძლიერი და სუსტი მხარეები. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, კურიკულუმები განვითარებადია და ახალი სასწავლო წლის მიმდინარეობასთან ერთად მაქსიმალურად დაიხვეწება. არის მზაობა კომპლექსური დავალებებით აქტიური სწავლების, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც არის წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; **ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. წარმოდგენილი დოკუმეტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც გამოიკვეთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა. **ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალბების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. რჩევის სახით სკოლამ სამომავლოდ სასურველია მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების

დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. **ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 1-6 კლასის კურიკულუმები
- 2023-2024 სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკები

**საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები.**

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, უცხოური ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ესთეტიკური აღზრდა, ტექნოლოგიები, ფიზიკური აღზრდა და სპორტი) შესწავლისა და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას

აქვს მზაობა თემების სახით მოსწავლეებს შესთავაზოს ნაცნობი, მისი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში შეძლებისდაგვარად მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით შემუშავებულია/შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობა/კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში. მითითებულია შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულება აცნობიერებს, რომ სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი და ის მიმართული უნდა იყოს სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამიტომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები, კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები, სწავლების სტრატეგიები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება მიემართება მოსწავლის ფსიქო-სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობას. სკოლის პრაქტიკაა მოსწავლეთა ქცევაზე დაკვრვება და შესაბამისი ქცევის მხარდამჭერი გეგმის შემუშავება, სასკოლო და საკლასო პროექტების განხორციელება (ტყე ჩვენი მეგობარია, მათემატიკა და ბიომრავალფეროვნება, და სხვა), რომელიც მოსწავლეების ემოციურ გააქტიურებას, ემპათიის, პასუხისმგებლობის, აქტიური მოქალაქისათვის დამახასიათებელი უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითშეფასების, ხოლო თავად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა - მოსწავლის დამოუკიდებლობის და თვითმართვის უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა და სხვა, საკლასო აქტივობებს გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი/სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა. ამასთანავე მასწავლებლები უკუკავშირის დროს პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესის მიმართ. **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ სასწავლო პროცესიც, არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლა, არამედ ის თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლების მიერ

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ფასდება როგორც მოსწავლის აკადემიური ასევე მაღალი სააზროვნო უნარები (კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), მასწავლებლებლები იყენებენ როგორც წერილობით, ასევე ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს/უკუკავშირებს, აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების და დიაგნოსტიკური წერების (მაგ.5-6 კლასებში, მათემატიკაში ) ანალიზს და შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ ინტერვენციებსა და სამომავლო საქმიანობას. დაგეგმილი ინტერვენციები ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. შეფასება ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, მოსწვალის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგნებში. შეფასების რუბრიკები იძლევა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების შესაძლებლობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შესაბამის საგანში და არის ვალიდური. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ მოსწავლეები იცნობენ შეფასების რუბრიკებს რაც მათ გამჭვირვალობაზე მიუთითებს. შეფასება ხორციელდება შეფასების სქემის მიხედვით, რომელიც არის კონკრეტული და ნაკლებად იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობას, შეფასების სამართლიანობას კი განაპირობებს სკოლის ყველა მოსწავლისადმი ერთნაირი/თანაბარი მიდგომები. **ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. დაწესებულებას სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი პირები, რეგულირდება შესაფასებელი მასალების შერჩევის და ვერიფიკაციის პროცესი, ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასების შემოწმების პროცედურას, სტანდარტთან შესაბამისობის/ვალიდურობის, ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის დადგენას. შესაბამისი დასკვნის მომზადებას და რეკომენდაციების შემუშავებას. წარმოდგენილი დოკუმენტით სკოლა გამოხატავს ვერიფიკაციის მექანიზმის ამოქმედების მზაობას.
**ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. დაწესებულებას ვერიფიკაციის მექანიზმით ითვალისწინებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო და საკლასო პროექტები;
- დიაგნოსტიკური წერები, წერების შედეგების ანალიზი, დაგეგმილი ინტერვენციები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7, 19 ექტემბერი, 2023 წ. ).

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტები: მაძიებლის თვითშეფასება, სასწავლო გეგმა რომელშიც გაწერილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, სწავლა-სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო.

სკოლის მიერ შემუშავებული სწავლა - სწავლების მიზნები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან და ითვალისწინებს მოსწავლეებში ისეთი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარების აუცილებლობას.

კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას.

სკოლის მიერ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები სასწავლო პროცესის მხარდამჭერია და მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე.კათედრების მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაზე და შევსებაზე ზრუნავს და გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს.

აღსანიშნავია, რომ სკოლას გააჩნია სააქტო დარბაზი, სადაც ტარდება სასკოლო ღონისძიებები. **ინდიკატორი 2.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს ყველა კლასის კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება და მოდიფიცირებული სწავლების მეთოდის აქტიურად გამოყენება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაცია, სოციალურ მუშაკებთან ინფორმაციის გაზიარება გამოსავლის მოძებნის მიზნით, პრობლემებთან ჩაღრმავება იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით.

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო, ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.

სკოლის მიერ, სასწავლო პროცესში გამოიყენება შესაბამისი და მრავალფეროვანი წყაროები, რაც განსაზღვრულია საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). მშობლები აქტიურად არიან ჩართული და დახმარებას უწევენ მოსწავლეებს საკლუბო და საპროექტო საქმიანობაში.

ინტერვიუს შედეგადაც გამოვლინდა, რომ კათედრის წევრებს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკუითხებთან დაკავშირებით.

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზციებთან, თვითმმართველობასთან ერთად გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს მოსწავლეთა წახალისების მიზნით. **ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე. რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში, კერძოდ: შეფასების სისტემა, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად; ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა არის გაუმჯობესების მეტი მზაობა. **ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო გეგმა;
- თვითშეფასების დოკუმენტი.
- კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
- პროექტები, ფოტომასალა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად-** სკოლას აქვს შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი , სადაც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის შემუშავების პროცესი და ამ პროცესზე პასუხისმგებელნი პირები. მასწავლებელთა ინტერვიუების დროს, გამოჩნდა , რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავება ხდება კათედრაზე ერთობლივად . სკოლაში არსებობს ხარისხის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ პროცესზე.პედაგოგები ურთიერთშეფასებისა და თვითრეფლექსიის საფუძველზე ახორციელებენ სასწავლო პროცესზე დაკვირვებას. კათედრაზე შემუშავებული აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ჩამოყალიბებული აქვთ ის ინსტრუმენტები, რითაც ხდება განმავითარებელი შეფასება მაგ: „ რეაქციის ბარათები“, „ერთწუთიანი პასუხები“ და ა.შ ეს ყოველივე, კი უზრუნველყოფს, შეფასების პროცესის ვალიდურობასა და სანდოობას. **ინდიკატორი 2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას-** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და მხარდაჭერას. სკოლა, სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვებასა და შეფასებას ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. ამას აქვს მოტივაციის და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხასიათი და არა დასჯის. სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლების მიერ ხდება გამოცდილების გაზიარება და პოზიტიური უკუკავშირის დაბრუნება კოლეგებთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი სასკოლო საზოგადოების წევრების როლი და ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების,განხორციელებისა და შეფასების პროცესში. **ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას** -სკოლა უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ორიენტირებული იყოს პრობლემების მოგვარება-გადაჭრაზე. პედაგოგების თქმით, მონიტორინგი პასუხსობს კითხვას მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესი და მეორე,შეფასების შედეგად,რამდენად მიდიან მოსწავლეები სასურველ შედეგამდე. სასკოლო საზოგადოების

წევრების მიერ ურთიერთდაკვირვებისა თუ ურთიერთშეფასების პროცესი უზრუნველყოფს იმას, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე;**
- **ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია.**

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სწავლა - სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები ცხადყოფს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რომელთა საფუძველზეც ხდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო

გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოსწავლესაც და პედაგოგსაც აძლევს ინფორმაციას სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ, რაც თავის მხრივ მასწავლებელს უადვილებს, რომ დაინახოს მოსწავლის საჭიროებები და პროგრესი, ხოლო მოსწავლეს კი აძლევს იმის საშუალებას, გააცნობიეროს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, მოწოდებული დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: სოლოტაქსონომიას, მიმდინარე დავალებების შეფასების რუბრიკას, ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკას, ოთხდონიან შეფასების სქემას. სკოლა ასევე იცნობს "იუსაიდის"განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებსა და მრავალფეროვან საშუალებას: "ერთწუთიან პასუხებს", "შეჯამების ბარათებს, "საკვანძო იდეების ბარათებს", "რეაქციის ბარათებს" და სხვა. მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, სადიაგნოსტიკო წერები და მათი ანალიზი, შემეჯამებელი წერები და მათი ანალიზი. რათა სასწავლო პროცესის შეფასება გახდეს უფრო ინფორმაციული, უფრო ეფექტური, სკოლის დირექცია სამომავლოდ გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების გამრავალფეროვნებას, დახვეწას და შესაბამისი დოკუმენტების უფრო სრულყოფილად და ხარისხიანად მომზადებას. **ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლეთა შფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.**

წარმოდგენილია დოკუმენტაცია უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, რომლებსაც ახლავს შეფასების ფორმები (მათ შორის - სოლოტაქსონომია ). წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლას ჩტარებული აქვს სადიაგნოსტიკო ტესტირებები წიგნიერებასა და მატემატიკაში (USAID-ის ტესტებისა და შეფასების სქემების გამოყენებით). შეფასებისას ასევე ითვალისწინებენ საკლასო და საშინაო დავალებებს. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასებისთვის მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებისა, მაგალითად: დიაგნოსტიკური ტესტირება, შემაჯამებელი დავალებები, კომპლექსური დავალებები, პროექტები. შეგროვებულ მონაცემებს კი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესის, მოსწავლეთა მიღწევებისა და, საზოგადოდ, სასკოლო ცხოვრების გამუჯობესებისათვის.

გარდა ინდივიდუალური შეფასების რუბრიკებისა, სკოლას შემუშავებული აქვს ჯგუფური მუშაობის შეფასების სქემა, რომელიც კლასებშია გამოკრული. შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, სადიაგნოსტიკო წერები და მათი ანალიზი, შემეჯამებელი წერები და მათი ანალიზი, შესრულებული კომპლექსური დავალებები. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს წლის განმავლობაში ორჯერ (ოქტომბერსა და აპრილში ) ჩაატაროს მოსწავლეთა დიაგნოსტირება. ამისათვის შერჩეული აქვს შეფასების ინსტრუმენტი N2 - საკლასო წერა.

ამავე დროს სკოლა გამოხატავს მზაობას, დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ

და მზად არიან, შეიმუშავონ ეფექტური შეფასების მექანიზმები, რომლის მიზანია, შეისწავლოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მათი საჭიროებები, მოსწავლეთა ინტერესები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ, და მომავალში უფრო მეტად გაითვალისწინებენ, მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლას აქვს გამოცდილება შეფასებისთვის მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებისგ ამოყენებისა, მაგალითად: დიაგნოსტიკური ტესტირება, შემაჯამებელი დავალებები, კომპლექსური ბუნების დავალებები, პროექტები. შეგროვებულ მონაცემებს კი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესის, მოსწავლეთა მიღწევებისა და, საზოგადოდ, სასკოლო ცხოვრების გამუჯობესებისათვის. სხვადასხვა სასწავლო სიტუაციის, მოსწავლის უნარის, შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით. ეს კი, თავის მხრივ, შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და, ამავდროულად, აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა მეთოდები, რასაც ადასტურებს სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებული სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. გარდა ინდივიდუალური შეფასების რუბრიკებისა, სკოლას შემუშავებული აქვს ჯგუფური მუშაობის შეფასების სქემა, რომელიც კლასებშია გამოკრული. გარდა ამისა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, მომავალი სასწავლო (2023-2024) წლისთვის სკოლა სამივე საფეხურზე გეგმავს პოზიტიური აღწერითი უკუკავშირის - ე.წ "პაუს"-ს დანერგვას.**ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ესენია: მოსწავლეთა ნამუშევრები; შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი. დიაგნოსტიკური წერები. კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსურ დავალებებში ჩაშნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ

თვისებებს სწავლა-სწავლების პროცესში, გაითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს, როგორებიცაა მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებელობები და განწყობები, მოსწავლეთა მზაობა. **ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგების ანალიზი მათემატიკასა და წიგნიერებაში - დანართი N56.**
- **სამუშაო შეხვედრის ოქმი განმავითარებელ შეფასებაზე - დანართი N93.**
- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024წ.)**
- **პროექტი "სხვა გზა" - დანართი N104.**
- **პრეზენტაცია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შესახებ - დანართი N93.**
- **განხორციელებული კომპლექსური დავალები განმავითარებელი შეფასების რუბრიკებითურთ - დანართი N88.**
- **განმავითარებელი შეფასების რუბრიკები - დანართი N91**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ‘’კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია’’გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის უწყვეტი განვითარების შესახებ. სკოლის კურიკულუმი ციკლურ განვითარებას განიცდის და სწავლა/სწავლების გაუმჯობესებას ემსახურება. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის მოქნილობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, ჩატარდეს მონიტორინგი და შეფასება, მიღებული შედეგების საფუძველზე უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა.სასწავლო წის მანძილზე მასწავლებლები აგროვებენ და აანალიზებენ დაერგვის შესახებ მონაცემებს, რაც საფუძვლად დაედება ცვლილებების პაკეტს.**ინდიკატორი ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.სკოლის დოკუმენტაციითა და მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება წინა წლის პრაქტიკის გათვალისწინებითა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე.სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია კურკულუმის განვითარების გზები, რომელიც ასახულია სტრატეგიულ მიზნებში, მათ შორისაა მაღალი ხარისხის განათლება, მასწავლებლის პროფესიული განვითარება. სამოქმედო გეგმაში მიზნის მისაღწევი ამოცანები და მასთან დაკავშირებული საქმიანობები კურიკულუმის განვითარების პრაქტიკულ გზებს წარმოადგენს. **ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია**
- **მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია**
- **2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება -- საბაზო საფეხური

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური ) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს ‘’კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ‘’ცალკე დოკუმენტად, რომელშიც მუხლებად არის გაწერილი სასკოლო კურიკულუმის რაობა, რეგულაციები, პროცესში ჩართული მხარეები და პროცესზე პასუხისმგებელი პირები, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ეტაპები, პროცესის კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან. დოკუმენტის მიხედვით, მონაწილე მხარეებს მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები და ვალდებულებები აქვთ კურიკულუმის განვითარების ყველა ეტაპზე. დოკუმენტი იძლევა საშუალებას, გათვალისწინებული და ასახული იყოს სასკოლო კურიკულუმში მონაწილე მხარეების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლა 2020-2021 სასწავლო წლიდან ჩართულია ‘’ახალი სკოლის მოდელის’’ პროექტში, აქვს თემატური დაგეგმარების და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, როგორც ისინი აცხადებენ, საგნობრივ კათედრებზე ხდება მასწავლებლების მოსაზრებების, ხედვების წარდგენა, გამოცდილების გაზიარება, კოლეგებისაგან იღებენ უკუკავშირს, რასაც ითვალისწინებენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებლები აცხადებენ, რომ კურიკულუმზე მუშაობას გააგრძელებენ მთელი წლის მანძილზე, დაგეგმავენ სამუშაო შეხვედრებს კათედრაზე, იმსჯელებენ კურიკულუმის დახვეწაზე, გაითვალისწინებენ კოლეგების პროფესიული მიღწევებს, როგორც სასწავლო პროცესში წარმატებით განხორციელებულ აქტივობებს, ასევე განახორციელებენ პროექტებს არაფორმალური განათლების მიმართულებით. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი '' სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია'', რომელშიც აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლითაც დაგეგმილია სკოლის გრძელვადიანი და მოკლევადიანი განვითარება. დოკუმენტის მიხედვით დაგეგმვა მიმდინარეობს თანამონაწილეობის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების პრინციპების საფუძველზე, რაც იძლევა საშუალებას, სკოლამ ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმვაში ჩართულია სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინირებულად მუშაობს, კრებს ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებიდან, აანალიზებს და ასახავს სტრატეგიულ მიზნებისა და სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიაში. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის შემდეგ, დოკუმენტი საბოლოო სახეს იღებს. სტრატეგიული მიზნების მიღწევის მიზნით სკოლა განსაზღვრავს არა მხოლოდ პრიორიტეტებს, არამედ ამ პრიორიტეტების მიღწევის გზებს, რესურსებს, ვადებს, ითვალისწინებს შესრულების მექანიზმსაც მონიტორინგის გზით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სკოლის მისია, რომელის თანახმად სკოლამ უნდა შექმნას პატრიოტი, ტოლერანტი, პროფესიონალი მოქალაქის ფორმირებისთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა. სასკოლო გეგმა იზიარებს მოსწავლისთვის სწავლა-სწავლებაში ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა პრობლემის ანალიზი და გადაჭრა, კომუნიკაცია, წიგნიერება, თანამშრომლობა,ეთიკა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, დამოუკიდებლად სწავლა და სხვა. სასკოლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, მათ შორისაა მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა. სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლება,ს აგნობრივი პროგრამები ორიენტირებულია სწავლების გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო ერთეულები ორგანიზებულია სავალდებულო თემებად, რომელთა დამუშავებაც ხდება სწავლების ყველა საფეხურზე, მათ შორის დაწყებით საფეხურზე. სადამრიგებლო პროგრამებში ასახულია მოსწავლეებისათვის აქტუალური თემები. **ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმა, ''კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია'' აღწერს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტების მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. სკოლა იაზრებს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასასრულს უნდა მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების კრიტიკულად გააზრება. მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე დგება ცვლილებების საკითხი. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში.
ცალკე დოკუმენტის სახითაა წარმოდგენილი ''მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია'', რომლის თანახმად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სამუშაო ჯგუფი შექმნილია სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების წარმომადგენლებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება არსებული მონაცემების სტატისტიკური გაანალიზებით, მათ შორის წინა წლების სამოქმედო გეგმის შესრულების

ანალიზის საფუძველზე. სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უზრუნველყოფას არეგულირებს სკოლის წარმოდგენილი კიდევ ერთი დოკუმენტი - ‘’ხარისხის მართვის მექანიზმი’’, რომელიც ფუნქციურად უკავშირდება მნიშვნელოვან კომპონენტს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას - აღრიცხოს და გამოავლინოს ცვლილებების საჭიროება სასკოლო კურიკულუმში შეფასებისა და რევიზიის შედეგად. ადგილზე ვიზიტის დროს შედგა შეხვედრა სამუშაო ჯგუფთან, რომელიც მუშაობდა სტრატეგიულ დაგეგმარებაზე, ახორციელებდა კოორდინირებულ შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა ადასტურებს მათი მონაწილეობის მაღალ ხარისხს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4.კურიკულუმის მასალები ხელისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, შექმნილია სკოლის ვებგვერდი, Teams პლატფორმაზე ჯგუფები, სკოლის ფეისბუქ გვერდი, სასაუბროები - ე წ ჩატები, სკოლის მატერიალური სივრცე იძლევა საშუალებას, კურიკულუმის მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. **ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია**
- **მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია**
- **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი**
- **სკოლის ფბ გვერდი, 5 ივლისის ქრონიკა**
- **სადამრიგებლო პროგრამა**
- **კათედრის სხდომის ოქმები**
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის 2023-24 სასწავლო წლის I სემესტრის**
- **სამოქმედო გეგმა**

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კათედრის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ძირითადი ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ხოლო შედეგები განისაზღვრება საფეხურის სასწავლო კურსის დონეზე. კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები, ლინკები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ცნებები, ქვეცნებები და ქვესაკითხები სრულყოფილადაა გაწერილი და იკვეთება სწავლის კონსტრუირების პროცესი. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. მოსწავლეთა ინტერესები იკვეთება ასევე შერჩეულ კომპლექსურ დავალებებში, რაც თავის მხრივ საფუძველია იმისა, რომ შემუშავებული კურკულუმები ორიენტირებულია მთლიანად მოსწავლის განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. საბაზო საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თემები შერჩეულია ესგ მოთხოვნების, წინარე გამოცდილებისა და მოსწავლეთა ინტერების გათვალისწინებით. ყველა თემაში მუშავდება სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომელზე მუშაობაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ნებელობა. კათედრამ ნიმუშის სახით წარმოდგინა მე-7 კლასის კომპლექსური დავალება(ხელბურთი), რომელის განხორციელების ფარგლებში დამუშავდება სამივე სამიზნე ცნება. ეტაპები ისეა გაწერილი, რომ პოზიტიურ სასწავლო გარემოს ქმნის და მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას. მასწავლებლებმა ისაუბრეს მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალებებზე(ფესტივალი, მოძრავი თამაში), რომელიც თემებიდან გამომდინარე გაწერილია კურიკულუმებში და რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, გუნდურობას, კომუნიკაციას. **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესის შეთავაზებას. სკოლში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებს და ამ მხრივ წარმოგვიდგენს 2022-2023 სასაწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმას რომელშიც იკვეთება სკოლის საკმაოდ კარგი გამოცდილება ინკლუზიური განათლების მიმართულებით და რომელიც მასწავლებელთა განვითარებას, სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული აქტივობების განხორციელებას გულისხმობს. ხოლო სკოლაში განხორციელებულ სასკოლო აქტივობებს, რომლებიც მორგებულია თითოეულ მოსწავლეზე და ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებს დასტურია იმისა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დიფერენცირებულად წარიმართება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ კარგად იცნობენ დიფერენცირებულ პრინციპებს, აქვთ საკმაოდ კარგი გამოცდილება და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ისე სთავაზობენ მათ აქტივობებს იქნება ეს მსაჯობა, მასწავლებლის როლის მორგება, სპორტული სივრცის გაფორმება მხატვრულად, პრეზენტაციის აწყობა, ინვენტარის მოწყობა და სხვა. შუალედური მიზნის მიღწევის ფარგლებში დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები მასწავლებელს აძლევს საშუალებას გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესთავაზოს არა მარტო სსსმ მოსწავლეს, არამედ ნებისმიერ მოსწავლეს დავალების ადაპტირებული ვერსია. სკოლაში გამოყოფილია საკლასო ოთახი - ლაბორატორია, სადაც სივრცე ორგანიზებულია მოსწავლისათვის მხარდამჭერ გარემოდ. ლაბორატორია იძლევა საშუალებას, ჩატარდეს სადემონსტრაციო ცდები ან მოეწყოს ელექტრონული მასალების პრეზენტაცია სავალდებულო თემების მიხედვით ქიმიაში, ბიოლოგიასა და ფიზიკაში. სივრცე იძლევა საშუალებას, მასწავლებელმა გამოიყენოს კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმა. საბაზო დასაშუალო საფეხურის მასწავლებლებს შეუძლიათ გამოყენონ სასწავლო რესურსები როგორც აინშტაინის ლაბორატორიის აღჭურვილობიდან, ასევე წინა წლების მაძილზე შეგროვებული სადემონსტრაციო მასალა, მათ შორის მოსწავლეთა ნამუშევრებიც - კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტები. ცალკეულ კარადებში ორგანიზებულია ფიზიკის ხელსაწყოები, ბიოლოგიის მოდელები და მიკროსკოპები, ქიმიური ჭურჭელი. ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილსაა გამოკრული უსაფრთხოების წესები, სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინოება. ლაბორატორია უკავშირდება საცავ ოთახს, რომელშიც საბუნებისმეტყველო კათედრა კარადებში ინახავს ქიმიურ რეაქტივებს, მინერალებს, სხვადასხვა ხელსაწყოს და ჭურჭელს. აგრესიული ქიმიკატები გამიჯნულია სხვა რეაქტივებისაგან, საცავთან მხოლოდ მასწავლებლებს აქვთ წვდომა. ლაბორატორიას და საცავს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების საშუალება - ფანჯრები. დირექციის განცხადებით, ლაბორატორიაში უახლოეს პერიოდში მოეწყობა სველი წერტილი, მასწავლებლები ჩაატარებენ ინვენტარიზაციას. **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სკოლამ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარე წელს განმსაზღვრელ შეფასებად აირჩია შეფასების პირველი მოდელი. აქედან გამომდინარე შეფასების ორივე ტიპი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კორელაციაშია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მიერ შემოთავაზებული შედეგებსა და მათ შესაბამის ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის

აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად იყენებს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას და ამ მიმართულებით წარმოგვიდგენს „SOLO“ ტაქსონომიით შეფასების რუბრიკების ნიმუშს ერთი თემიდან გამომდინარე. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ შეფასებასა და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე . **ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან გამომდინარე გეგმავს საბაზო საფეხურზე განაახლოს სასკოლო კურიკულუმი წინა წლების მონაცემების საფუძველზე. სასწავლო პროცესში მიღებული გამოცდილება იყო სკოლის მიერ გათვალისწინებული სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში. სკოლა გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის ანალიზისა და და შედეგების განსაზღვრისთვის გამოიყენოს სადიაგნოსტიკო ტესტირება, მიღებული შედეგების შესაბამისად ასახოს რევიზირებულ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები
2. 2023-2024 სასწავლო გეგმა
3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
4. განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკები
5. ისგ სამოქმედო გეგმა
6. კომპლექსური დავალება
7. ადაპტირებული სასკოლო აქტივობები
8. ინტერვიუ

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. მცხეთის N 2 საჯარო სკოლა საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მასწავლებლები აიდენტიფიცირებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობა, ძლიერი და სუსტი მხარეები. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, კურიკულუმები განვითარებადია და ახალი სასწავლო წლის მიმდინარეობასთან ერთად მაქსიმალურად დაიხვეწება. არის მზაობა კომპლექსური დავალებებით აქტიური სწავლების, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც არის წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; **ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. საბაზო საფეხურის წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც გამოიკვეთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა. **ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5.საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კურიკულუმში (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. **ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- VII-IX კლასის კურიკულუმები
- 2023-2024 სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკები

**საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების პირობა და იდეები**

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, უცხოური ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი) შესწავლისა და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა თემების სახით მოსწავლეებს შესთავაზოს ნაცნობი, მისი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში შეძლებისდაგვარად მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით შემუშავებულია/შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობა/კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში. მითითებულია შესაბამისი რესურსები.**ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.. დაწესებულება აცნობიერებს, რომ სწავლა არის მოსწვალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი და ის მიმართული უნდა იყოს სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამიტომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები, კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები, სწავლების სტრატეგიები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება მიემართება მოსწავლის ფსიქო-სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობას. სკოლის პრაქტიკაა მოსწავლეთა ქცევაზე დაკვრვება და შესაბამისი ქცევის მხარდამჭერი გეგმის შემუშავება, სასკოლოს და საკლასო პროექტების (მცხეთა ჩემი ქალაქია, ჩვენ ჯანსაღი მომავლისათვის, სხვა გზა და სხვა) განხორციელება, რომელიც მოსწავლეების ემოციურ გააქტიურებას, ემპათიის, პასუხისმგებლობის, აქტიური მოქალაქისათვის დამახასიათებელი უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითშეფასების, ხოლო თავად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა - მოწავლის დამოუკიდებლობის და თვითმართვის უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა და სხვა, საკლასო აქტივობებს გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი/სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა. ამასთანავე მასწავლებლები უკუკავშირის დროს პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესის მიმართ. **ინდიკატორი 2.2.2.. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ სასწავლო პროცესიც, არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლა, არამედ ის თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ფასდება როგორც მოსწავლის აკადემიური ასევე მაღალი

სააზროვნო უნარები (კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), მასწავლებლებლები იყენებენ როგორც წერილობით, ასევე ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს/უკუკავშირებს, აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ ინტერვენციებსა და სამომავლო საქმიანობას. დაგეგმილი ინტერვენციები ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. შეფასება ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, მოსწვალის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგნებში. შეფასების რუბრიკები იძლევა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების შესაძლებლობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შესაბამის საგანში და არის ვალიდური. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ მოსწავლეები იცნობენ შეფასების რუბრიკებს რაც მათ გამჭვირვალობაზე მიუთითებს. შეფასება ხორციელდება შეფასების სქემის მიხედვით, რომელიც არის კონკრეტული და ნაკლებად იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობას, შეფასების სამართლიანობას კი განაპირობებს სკოლის ყველა მოსწავლისადმი ერთნაირი/თანაბარი მიდგომები. **ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. დაწესებულებას სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი პირები, რეგულირდება შესაფასებელი მასალების შერჩევის და ვერიფიკაციის პროცესი, ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასების შემოწმების პროცედურას, სტანდარტთან შესაბამისობის/ვალიდურობის, ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის დადგენას. შესაბამისი დასკვნის მომზადებას და რეკომენდაციების შემუშავებას. წარმოდგენილი დოკუმენტით სკოლა გამოხატავს ვერიფიკაციის მექანიზმის ამოქმედების მზაობას.
**ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6….დაწესებულებას ვერიფიკაციის მექანიზმით ითვალისწინებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- აგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- ასკოლო და საკლასო პროექტები;
- ემაჯამებელი წერების შედეგების ანალიზი, დაგეგმილი ინტერვენციები;
- ანმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7, 19 ექტემბერი, 2023 წ.).

………………………………………………………………………………………………………………………

..

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტები: მაძიებლის თვითშეფასება, სასწავლო გეგმა რომელშიც გაწერილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, სწავლა-სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო.

სკოლის მიერ შემუშავებული სწავლა - სწავლების მიზნები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან და ითვალისწინებს მოსწავლეებში ისეთი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარების აუცილებლობას.

კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას.

სკოლის მიერ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები სასწავლო პროცესის მხარდამჭერია და მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე.კათედრების მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაზე და შევსებაზე ზრუნავს და გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს.

აღსანიშნავია, რომ სკოლას გააჩნია სააქტო დარბაზი, სადაც ტარდება სასკოლო ღონისძიებები. **ინდიკატორი 2.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს ყველა კლასის კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება და მოდიფიცირებული სწავლების მეთოდის აქტიურად გამოყენება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაცია, სოციალურ მუშაკებთან ინფორმაციის გაზიარება გამოსავლის მოძებნის მიზნით, პრობლემებთან ჩაღრმავება იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით.

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო, ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.

სკოლის მიერ, სასწავლო პროცესში გამოიყენება შესაბამისი და მრავალფეროვანი წყაროები, რაც განსაზღვრულია საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). მშობლები აქტიურად არიან ჩართული და დახმარებას უწევენ მოსწავლეებს საკლუბო და საპროექტო საქმიანობაში.

ინტერვიუს შედეგადაც გამოვლინდა, რომ კათედრის წევრებს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკუითხებთან დაკავშირებით.

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზციებთან, თვითმმართველობასთან ერთად გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს მოსწავლეთა წახალისების მიზნით. **ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე. რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში, კერძოდ: შეფასების სისტემა, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად; ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა არის გაუმჯობესების მეტი მზაობა. **ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო გეგმა;
- თვითშფასების დოკუმენტი.
- კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;

პროექტები, ფოტომასალა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად-** სკოლაში, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. ხარისხისა და მხარდამჭერი ჯგუფების მიერ მიმდინარეობს პროცესზე დაკვირვება. უცხოური ენების კათედრაზე შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემები უზრუნველყოფს და ასახავს მოსწავლეთა პროგრესს. მეთოდოლოგიის დოკუმენტი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ვალდებულებებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია კრიტიკული მეგობარის ინსტიტუტი. **2.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას-** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და მხარდაჭერას. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესში აღმოჩენილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოკვეთეს ის მიდგომები, რასაც იყენებენ დაგეგმილი ინტერვენციების დროს. ასევე, გამოხატეს მზაობა სკოლაში დანერგონ მონიტორინგისა და შეფასების სიტემის ახალი ინსტრუმენტები. **2.3.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას** ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა შედეგების ანალიზი მოხდეს უფრო სიღრმისეულად , რათა კურიკულუმში გაწერილი ეტაპები იყოს წარმატებით განხორციელებული. სკოლა გამოთქვამს მზადყოფნას, რათა მოხდეს სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც აისახება სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **2.3.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება მტკიცებულებებით:**
**საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკა ინგლისური ენაში;**
**მეთოდოლოგიის დოკუმენტი;**
**საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო**

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები წარმოდგენილია შეფასების

სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით. სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს პედაგოგს, მიიღოს ინფორმაცია სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ, რაც, თავის მხრივ უადვილებს მას, დაინახოს მოსწავლის პროგრესი და საჭიროებები. ასვე მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დაფიქრდეს და გაიაზროს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. უკვე შექმნილი სანიმუშო განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, თითოეულ საგანში, თითოეული თემის ფარგლებში პედაგოგები შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ასევე თვითშეფასების რუბრიკებს. როგორც მოწოდებულ დოკუმენტაციაში, ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას. ასევე მრავალი კომპონენტის მიხედვით შეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებისას შექმნილი საბოლოო პროდუქტი. **ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (არჩეული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი). ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე არაფორმალური განათლების კუთხით თავიანთ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ნახატი), სხვადასხვა სახის ნამუშევარი, რომელსაც მოსწავლე სახლში ამზადებს.

საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი: ინფორმაციის მოძიება, თხზულება, აღწერა-დახასიათება, ექსპერიმენტი, სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. მრავალი კომპონენტის მიხედვით შეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური ბუნების დავალებების კრიტერიუმები და თვითშეფასების სქემები. **ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი. დიაგნოსტიკური წერები, კომპლექსური ბუნების დავალებები შეფასების კრიტერიუმებითურთ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, ეს კი შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და, ამავდროულად, აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს სამივე საფეხურის მოსწავლეთა დიაგნოსტირება შეფასების ინსტრუმენტ 2-ის გამოყენებით, მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. ერთწლიანი სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა აპირებს, განაგრძოს ინინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება. ასევე გეგმავს ეფექტური შეფასების ბანკის შექმნას, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაამრავალფეროვნებს და გაამდიდრებს მონაცემთა შეგროვების მთოდებს. იგივე ერთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მოსავლეებისგან პერიოდული უკუკავშირის

მიღებას და ამისათვის ონლაინ უკუკავშირის კითხვარის შექმნასა და მის გაზიარებას საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ესენია: მოსწავლეთა ნამუშევრები; შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი. დიაგნოსტიკური წერები. კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსური ბუნების დავალებების კრიტერიუმები და თანდართული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აჩვენებს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებს სწავლა-სწავლების პროცესში, გაითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს, როგორებიცაა მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებელობები და განწყობები, მოსწავლეთა მზაობა. **ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შეფასების რუბრიკა-საბაზო საფეხური-დანართი N110
- შეფასების რუბრიკა - დანართი N111, დანართი 91
- 2023-2024 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმი-დანართი N112
- 2021-2022 წლის კურიკულუმები - დანართი 75
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ‘’კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია’’გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის უწყვეტი განვითარების შესახებ. სკოლის კურიკულუმი ციკლურ განვითარებას განიცდის და სწავლა/სწავლების გაუმჯობესებას ემსახურება. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის მოქნილობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, ჩატარდეს მონიტორინგი და შეფასება, მიღებული შედეგების საფუძველზე უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა.სასწავლო წის მანძილზე მასწავლებლები აგროვებენ და აანალიზებენ დაერგვის შესახებ მონაცემებს, რაც საფუძვლად დაედება ცვლილებების პაკეტს.**ინდიკატორი ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის დოკუმენტაციითა და მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება წინა წლის პრაქტიკის გათვალისწინებითა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე.სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია კურკულუმის განვითარების გზები, რომელიც ასახულია სტრატეგიულ მიზნებში, მათ შორისაა მაღალი ხარისხის განათლება, მასწავლებლის პროფესიული განვითარება. სამოქმედო გეგმაში მიზნის მისაღწევი ამოცანები და მასთან დაკავშირებული საქმიანობები კურიკულუმის განვითარების პრაქტიკულ გზებს წარმოადგენს. **ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია**
- **მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია**
- **სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა. 2023 - 2024 აკადემიური წელი**

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება -საშუალო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური ) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს ‘‘კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ‘‘ცალკე დოკუმენტად, რომელშიც მუხლებად არის გაწერილი სასკოლო კურიკულუმის რაობა, რეგულაციები, პროცესში ჩართული მხარეები და პროცესზე პასუხისმგებელი პირები, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ეტაპები, პროცესის კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან. დოკუმენტის მიხედვით, მონაწილე მხარეებს მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები და ვალდებულებები აქვთ კურიკულუმის განვითარების ყველა ეტაპზე. დოკუმენტი იძლევა საშუალებას, გათვალისწინებული და ასახული იყოს სასკოლო კურიკულუმში მონაწილე მხარეების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, როგორც ისინი აცხადებენ, საგნობრივ კათედრაზე ხდება მასწავლებლების მოსაზრებების, ხედვების წარდგენა, გამოცდილების გაზიარება, კოლეგებისაგან იღებენ უკუკავშირს, რასაც ითვალისწინებენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მასწავლებლები აცხადებენ, რომ კურიკულუმზე მუშაობას გააგრძელებენ მთელი წლის მანძილზე, დაგეგმავენ სამუშაო შეხვედრებს კათედრაზე, იმსჯელებენ კურიკულუმის დახვეწაზე, გაითვალისწინებენ კოლეგების პროფესიული მიღწევებს, სასწავლო პროცესში წარმატებით განხორციელებულ აქტივობებს, როგორც სასწავლო პროცესში, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი '' სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია'', რომელშიც აღწერილია პრინციპები,მეთოდები და პროცედურები, რომლითაც დაგეგმილია სკოლის გრძელვადიანი და მოკლევადიანი განვითარება. დოკუმენტის მიხედვით დაგეგმვა მიმდინარეობს თანამონაწილეობის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების პრინციპების საფუძველზე, რაც იძლევა საშუალებას, სკოლამ ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმვაში ჩართულია სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინირებულად მუშაობს, კრებს ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებიდან, აანალიზებს და ასახავს სტრატეგიულ მიზნებისა და სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიაში. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის შემდეგ, დოკუმენტი საბოლოო სახეს იღებს. სტრატეგიული მიზნების მიღწევის მიზნით სკოლა განსაზღვრავს არა მხოლოდ პრიორიტეტებს, არამედ ამ პრიორიტეტების მიღწევის გზებს, რესურსებს, ვადებს, ითვალისწინებს შესრულების მექანიზმსაც მონიტორინგის გზით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სკოლის მისია, რომელის თანახმად სკოლამ უნდა შექმნას პატრიოტი, ტოლერანტი, პროფესიონალი მოქალაქის ფორმირებსთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა. სასკოლო გეგმა იზიარებს მოსწავლისთვის სწავლა-სწავლებაში ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა პრობლემის ანალიზი და გადაჭრა, კომუნიკაცია, წიგნიერება,თანამშრომლობა,ეთიკა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება,დამოუკიდებლად სწავლა და სხვა. სასკოლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, მათ შორისაა მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა.სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლება,საგნობრივი პროგრამები ორიენტირებულია სწავლების გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო ერთეულები ორგანიზებულია სავალდებულო თემებად, რომელთა დამუშავებაც ხდება სწავლების ყველა საფეხურზე, მათ შორის დაწყებით საფეხურზე.სადამრიგებლო პროგრამებში ასახულია მოსწავლეებისათვის აქტუალური თემები. **ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმა, ''კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია'' აღწერს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტების მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. სკოლა იაზრებს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასასრულს უნდა მოხდეს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების კრიტიკულად გააზრება. მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე დგება ცვლილებების საკითხი. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში.
ცალკე დოკუმენტის სახითაა წარმოდგენილი ''მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია'', რომლის თანახმად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოების

პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სამუშაო ჯგუფი შექმნილია სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების წარმომადგენლებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება არსებული მონაცემების სტატისტიკური გაანალიზებით, მათ შორის წინა წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის საფუძველზე. სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უზრუნველყოფას არეგულირებს სკოლის წარმოდგენილი კიდევ ერთი დოკუმენტი ''ხარისხის მართვის მექანიზმი'', რომელიც ფუნქციურად უკავშირდება მნიშვნელოვან კომპონენტს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას - აღრიცხოს და გამოავლინოს ცვლილებების საჭიროება სასკოლო კურიკულუმში შეფასებისა რევიზიის შედეგად. ადგილზე ვიზიტის დროს შედგა შეხვედრა სამუშაო ჯგუფთან, რომელიც მუშაობდა სტრატეგიულ დაგეგმარებაზე, ახორციელებდა კოორდინირებულ შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა ადასტურებს მათი მონაწილეობის მაღალ ხარისხს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი 2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4.კურიკულუმის მასალები ხელისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, შექმნილია სკოლის ვებგვერდი, Teams პლატფორმაზე ჯგუფები, სკოლის ფეისბუქ გვერდი, სასაუბროები - ე წ ჩატები. სკოლის მატერიალური სივრცე იძლევა საშუალებას, კურიკულუმის მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის.

**ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია**
- **მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია**
- **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი**
- **სკოლის ფბ გვერდი, 5 ივლისის ქრონიკა**
- **სადამრიგებლო პროგრამა**
- **საბუნებიმეტყველო კათედრის სხდომის ოქმები**
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის 2023-24 სასწავლო წლის I სემესტრის**
- **სამოქმედო გეგმა**

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც ძირითადი ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ხოლო შედეგები განისაზღვრება საფეხურის სასწავლო კურსის დონეზე. კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები, ინტერნეტ ლინკები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ხოლო ცნებები, ქვეცნებები და ქვესაკითხები სრულყოფილადაა გაწერილი და კარგად ჩანს მოსწავლის სწავლის კონსტრუირების პროცესი. კათედრის წევრებმა შეხვედრისას ისაუბრეს თემების შერჩევისას გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროები და ასაკობრივი თავისებურებები. მოსწავლეთა ინტერესები იკვეთება ასევე შერჩეულ კომპლექსურ დავალებებში, რაც თავის მხრივ საფუძველია იმისა, რომ შემუშავებული კურკულუმები ორიენტირებულია მთლიანად მოსწავლის განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. საშუალო საფეხურის კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნების შესაბამისადაა გაწერილი. თემები შერჩეულია ესგ მოთხოვნების გათვალისწინებით, სადაც მუშავდება სამიზნე ცნებები

და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომელზე მუშაობაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ნებელობა. კათედრამ ნიმუშის სახით წარმოდგინა მე-7 კლასის კომპლექსური დავალება(ხელბურთი). მასწავლებლებმა ისაუბრეს მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალების შექმნაზე თემებიდან გამომდინარე საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის რომლებიც მოსწავლეებს შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, გუნდურობას, კომუნიკაციას განუვითარებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა ყველა მოსწავლისთვის ქმნის ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რაც სკოლის მიერ სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებში გამოიხატება. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან იკვეთება სკოლის საკმაოდ კარგი გამოცდილება ინკლუზიური განათლების მიმართულებით, რომელიც მასწავლებელთა განვითარებას, სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობებზე მორგებული აქტივობების განხორციელებას გულისხმობს. სკოლის მიერ ასევე წარმოდგენილია სკოლაში განხორციელებულ სასკოლო აქტივობები, რომლებიც მორგებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე და ინტერესებზე. რაც დასტურია იმისა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დიფერენცირებულად წარიმართება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ კარგად იცნობენ დიფერენცირებულ პრინციპებს, აქვთ საკმაოდ კარგი გამოცდილება და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ისე სთავაზობენ მათ აქტივობებს . ესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის, შუალედური მიზნის მიღწევის ფარგლებში დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები მასწავლებელს აძლევს საშუალებას გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესთავაზოს არა მარტო სსმ მოსწავლეს, არამედ ნებისმიერ მოსწავლეს დავალების ადაპტირებული ვერსია. სკოლაში გამოყოფილია საკლასო ოთახი - ლაბორატორია, სადაც სივრცე ორგანიზებულია მოსწავლისათვის მხარდამჭერ გარემოდ. ლაბორატორია იძლევა საშუალებას, ჩატარდეს სადემონსტრაციო ცდები ან მოეწყოს ელექტრონული მასალების პრეზენტაცია სავალდებულო თემების მიხედვით ქიმიაში, ბიოლოგიასა და ფიზიკაში. სივრცე იძლევა საშუალებას, მასწავლებელმა გამოიყენოს კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმა. საბაზო დასაშუალო საფეხურის მასწავლებლებს შეუძლიათ გამოყენონ სასწავლო რესურსები როგორც აინშტაინის ლაბორატორიის აღჭურვილობიდან, ასევე წინა წლების მაძილზე შეგროვებული სადემონსტრაციო მასალა, მათ შორის მოსწავლეთა ნამუშევრებიც - კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტები. ცალკეულ კარადებში ორგანიზებულია ფიზიკის ხელსაწყოები, ბიოლოგიის მოდელები და მიკროსკოპები, ქიმიური ჭურჭელი. ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილსაა გამოკრული უსაფრთხოების წესები, სხვადასხვა მიზნობრივი თვალსაჩინოება. ლაბორატორია უკავშირდება საცავ ოთახს, რომელშიც საბუნებისმეტყველო კათედრა კარადებში ინახავს ქიმიურ რეაქტივებს, მინერალებს,

სხვადასხვა ხელსაწყოს და ჭურჭელს. აგრესიული ქიმიკატები გამიჯნულია სხვა რეაქტივებისაგან, საცავთან მხოლოდ მასწავლებლებს აქვთ წვდომა. ლაბორატორიას და საცავს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების საშუალება - ფანჯრები. დირექციის განცხადებით, ლაბორატორიაში უახლოეს პერიოდში მოეწყობა სველი წერტილი, მასწავლებლები ჩაატარებენ ინვენტარიზაციას. **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლამ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარე წელს განმსაზღვრელ შეფასებად აირჩია შეფასების პირველი მოდელი. აქედან გამომდინარე შეფასების ორივე ტიპი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კორელაციაშია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მიერ შემოთავაზებული შედეგებსა და მათ შესაბამის ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად იყენებს განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ შეფასებასა და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე . **ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
5. სკოლა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან გამომდინარე გეგმავს საბაზო საფეხურზე განაახლოს სასკოლო კურიკულუმი წინა წლების მონაცემების საფუძველზე. სასწავლო პროცესში მიღებული გამოცდილება იყო სკოლის მიერ გათვალისწინებული სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში. სკოლა გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის ანალიზისა და და შედეგების განსაზღვრისთვის გამოიყენოს სადიაგნოსტიკო ტესტირება, მიღებული შედეგების შესაბამისად ასახოს რევიზირებულ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- 2023-2024 სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკები
- ისგ სამოქმედო გეგმა
- კომპლექსური დავალება
- ადაპტირებული სასკოლო აქტივობები
- ინტერვიუ

შეფასება:
- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მცხეთის N 2 საჯარო სკოლა საშუალო საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მასწავლებლები აზუსტებენ და იკვლევენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობა, ძლიერი და სუსტი მხარეები. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, კურიკულუმები განვითარებადია და ახალი სასწავლო წლის მიმდინარეობასთან ერთად მაქსიმალურად დაიხვეწება. არის მზაობა კომპლექსური დავალებებით აქტიური სწავლების, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კათედრებს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც არის წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმებში,(ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; **ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილი დოკუმეტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული); საშუალო საფეხურის კურიკულუმებში (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -

სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. რაც გამოიკვეთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა. **ინდიკატორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. **ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- X-XII კლასის კურიკულუმები
- 2023-2024 სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკები

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, უცხოური ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი) შესწავლისა და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა თემების სახით მოსწავლეებს შესთავაზოს ნაცნობი, მისი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში შემლებისდაგვარად მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით შემუშავებულია/შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობა/კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში. მითითებულია შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულება აცნობიერებს, რომ სწავლა არის მოსწვალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი და ის მიმართული უნდა იყოს სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამიტომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. საგნობრივ კურიკულუმში ასახული საკითხები, კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები, სწავლების სტრატეგიები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება მიემართება მოსწავლის ფსიქო-სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობას. სკოლის პრაქტიკაა მოსწავლეთა ქცევაზე დაკვრვება და შესაბამისი ქცევის მხარდამჭერი გეგმის შემუშავება, სასკოლოს და საკლასო პროექტების (მცხეთა ჩემი ქალაქია, ჩვენ ჯანსაღი მომავლისათვის, სხვა გზა და სხვა) განხორციელება, რომელიც მოსწავლეების ემოციურ გააქტიურებას, ემპათიის, პასუხისმგებლობის, აქტიური მოქალაქისათვის დამახასიათებელი უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითშფასების, ხოლო თავად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა - მოწავლის დამოუკიდებლობის და თვითმართვის უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა და სხვა, საკლასო აქტივობებს გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი/სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა. ამასთანავე მასწავლებლები უკუკავშირის დროს

პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესის მიმართ. **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზით გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ სასწავლო პროცესიც, არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლა, არამედ ის თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ფასდება როგორც მოსწავლის აკადემიური ასევე მაღალი სააზროვნო უნარები (კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), მასწავლებლებლები იყენებენ როგორც წერილობით, ასევე ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს/უკუკავშირებს, აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ ინტერვენციებსა და სამომავლო საქმიანობას. დაგეგმილი ინტერვენციები ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. შეფასება ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, მოსწვალის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4.. დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგნებში. შეფასების რუბრიკები იძლევა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების შესაძლებლობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შესაბამის საგანში და არის ვალიდური. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ მოსწავლეები იცნობენ შეფასების რუბრიკებს რაც მათ გამჭვირვალობაზე მიუთითებს. შეფასება ხორციელდება შეფასების სქემის მიხედვით, რომელიც არის კონკრეტული და ნაკლებად იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობას, შეფასების სამართლიანობას კი განაპირობებს სკოლის ყველა მოსწავლისადმი ერთნაირი/თანაბარი მიდგომები. **ინდიკატორი 2.2.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
5. დაწესებულებას სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი პირები, რეგულირდება

შესაფასებელი მასალების შერჩევის და ვერიფიკაციის პროცესი, ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასების შემოწმების პროცედურას, სტანდარტთან შესაბამისობის/ვალიდურობის, ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის დადგენას. შესაბამისი დასკვნის მომზადებას და რეკომენდაციების შემუშავებას. წარმოდგენილი დოკუმენტით სკოლა გამოხატავს ვერიფიკაციის მექანიზმის ამოქმედების მზაობას. **ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6.......დაწესებულებას ვერიფიკაციის მექანიზმით ითვალისწინებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას 3 წლის ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო და საკლასო პროექტები;
- შემაჯამებელი წერების შედეგების ანალიზი, დაგეგმილი ინტერვენციები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7, 19 ექტემბერი, 2023 წ.).

...........................................................................................................................................

## 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტები: მაძიებლის თვითშეფასება, სასწავლო გეგმა რომელშიც გაწერილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, სწავლა-სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო.

სკოლის მიერ შემუშავებული სწავლა - სწავლების მიზნები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებთან და ითვალისწინებს მოსწავლეებში ისეთი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების განვითარების აუცილებლობას.

კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას.

სკოლის მიერ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები სასწავლო პროცესის მხარდამჭერია და მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე.კათედრების მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაზე და შევსებაზე ზრუნავს და გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს.

აღსანიშნავია, რომ სკოლას გააჩნია სააქტო დარბაზი, სადაც ტარდება სასკოლო ღონისძიებები. **ინდიკატორი 2.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს ყველა კლასის კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება და მოდიფიცირებული სწავლების მეთოდის აქტიურად გამოყენება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაცია, სოციალურ მუშაკებთან ინფორმაციის გაზიარება გამოსავლის მოძებნის მიზნით, პრობლემებთან ჩაღრმავება იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით.

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო, ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.

სკოლის მიერ, სასწავლო პროცესში გამოიყენება შესაბამისი და მრავალფეროვანი წყაროები, რაც განსაზღვრულია საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). მშობლები აქტიურად არიან ჩართული და დახმარებას უწევენ მოსწავლეებს საკლუბო და საპროექტო საქმიანობაში.

ინტერვიუს შედეგადაც გამოვლინდა, რომ კათედრის წევრებს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკუითხებთან დაკავშირებით.

სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზციებთან, თვითმმართველობასთან ერთად გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს მოსწავლეთა წახალისების მიზნით. **ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე. რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში, კერძოდ: შეფასების სისტემა, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად; ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა არის გაუმჯობესების მეტი მზაობა. **ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო გეგმა;
- თვითშეფასების დოკუმენტი.
- კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
- პროექტები, ფოტომასალა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**-საშუალო საფეხურზე, სასკოლო საზოგადოების წევრებს გააზრებული აქვთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-სწავლების პროცესის მონიტორინგსა და სწორად შეფასებას. ამ პროცესზე დაკვირვებას ახორციელებს სკოლაში არსებული ყველა რგოლი. მხარდაჭერისა და ხარისხის ჯგუფი, დირექცია , უცხოური ენის კათედრის წევრები ეთობლივად ზრუნავენ ,

რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განხორციელდეს ლოგიკურად, მეთოდოლოგიის შესაბამისად და თანმიმდევრობით. რადგან შეფასება ჰოლისტური ხასიათისაა, შფასების კრიტერიუმები და მისი ამსახველი რუბრიკებიც არის სანდო. პედაგოგები მოსწავლეთა შეფასებას აქტიურად ანხორციელებენ სოლო ტაქსონომიის მიხედვით.პედაგოგებს აქვთ დანერგილი პრაქტიკაში კომპლექსური თუ შემაჯამებელი ანალიზის საფუძველზე დაგეგმილი ინტერვენციები კონკრეტულ მოსწავლესთან, მისი საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორი 2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**-სკოლა უზრუნველყოფს, რომ სწავლა-სწავლების მონიტორინგი და შეფასება მიემართებოდეს სასკოლო საზოგაოდების წევრების დახმარებაზე. მონიტორინგი ხორციელდება მრავალი ინსტრუმენტის გამოყენებით როგორიცაა: ურთიერთშეფასება, კრიტიკული მეგობარი, თვითრეფლექსია, დავალებების ანალიზის ფორმები და ა.შ. სკოლაში ასევე აქტიურად ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანია სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება, რაც პირდაპირპროპორციულად განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერის პროცესს. **ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას** სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემების ანალიზს. სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკა დააკვირდნენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების შედეგების დინამიკას და ამ დაკვირვებების შედეგად მივიდნენ გარკვეულ მიგნებებამდე.პედაგოგები ინტერვიუს დროს საუბრობენ, რომ ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მზაობას, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, ოჯახურ გარემოს. ამის საფუძველზე კი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად ცდილობენ წამოჭრილი პრობლემების მოგვარებას. სწავლა-სწავლების პროცესში აღმოჩენილ პრობლემებსა და მისი მოგვარების გზაზე დამრიგებლები ხშირად იყენებენ სადამრიგებლო საათსა და მშობელთა კრებებს. **ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **ნაბიჯების პროგრესი-კომპლექსურიდან კომპლექსურამდე;**
- **ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;**
- **მეთოდოლოგიის დოკუმენტი;**
- **ურთიერთდასწრების დოკუმენტი**

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით. სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს პედაგოგს, მიიღოს ინფორმაცია სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ, რაც, თავის მხრივ უადვილებს მას , დაინახოს მოსწავლის პროგრესი და საჭიროებები. ასვე მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დაფიქრდეს და გაიაზროს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. უკვე შექმნილი სანიმუშო განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, თითოეულ საგანში, თითოეული თემის ფარგლებში პედაგოგები შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ასევე

თვითშეფასების რუბრიკებს. როგორც მოწოდებულ დოკუმენტაციაში, ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. ასევე მრავალი კომპონენტის მიხედვით შეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებისას შექმნილი საბოლოო პროდუქტი. **ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მოსწავლეთა შეფასება ხდება სამი- საშინაო, საკლასო და შენაჯამებელი კომპონენტით. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრკები (სკოლას არჩეული აქვს განმსაზვრელი შეფასების ათქულიანი და ხუთდონიანი მოდელი).საშინაო დავალების კომპონენტით ფასდებანებისმიერი ტიპის დავალება, რომელსაც მოსწავლე შინ ასრულებს, ეს იქნება წერითი, ზეპირი, ნახატი თუ სხვა სახის დავალება. საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი: ინფორმაციის მოძიება, თხზულება, ექსპერიმენტი, ინტერვიუ, ესე, სავარჯიშოების სესრულება, დისკუსია და სხვა. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება, მაგალითად, ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეული მასწავლებელი შეიმუშავებს ინდივიდუალური შეფასების სქემებს სხვადასხვა ტიპის აქტივობისთვის. სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით შეფასების საშუალებას იძლევა კომპლექსური ბუნების დავალებები. **ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი. დიაგნოსტიკური წერები, კომპლექსური ბუნების დავალებები თავიანტი შეფასების კრიტერიუმებითურთ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, ეს კი შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და, ამავდროულად, აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს

სამივე საფეხურის მოსწავლეთა დიაგნოსტირება შეფასების ინსტრუმენტ 2-ის გამოყენებით, მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. ერთწლიანი სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა აპირებს, განაგრძოს ინინტეგრირებული გავეთილების ჩატარება. ასევე გეგმავს ეფექტური შეფასების ბანკის შექმნას, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაამრავალფეროვნებს და გაამდიდრებს მონაცემთა შეგროვების მთოდებს. იგივე ერთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მოსავლეებისგან პერიოდული უკუკავშირის მიღებას და ამისათვის ონლაინ უკუკავშირის კითხვარის შექმნასა და მის გაზიარებას საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, **ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ესენია: მოსწავლეთა ნამუშევრები; შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი. დიაგნოსტიკური წერები. კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი .ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. მოსწავლეების შეფასება ხდება მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, სწავლა-სწავლების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას. მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსური ბუნების დავალებების კრიტერიუმებით შესაძლებელია მოსწავლეთა განვითარების დინამიკის დანახვა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებს სწავლა-სწავლების პროცესში, გაითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს, როგორებიცაა მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებელობები და განწყობები, მოსწავლეთა მზაობა. **ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები და მათში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ‘‘კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია’’გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის უწყვეტი განვითარების შესახებ. სკოლის კურიკულუმი ციკლურ განვითარებას განიცდის და სწავლა/სწავლების გაუმჯობესებას ემსახურება. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის მოქნილობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, ჩატარდეს მონიტორინგი და შეფასება, მიღებული შედეგების საფუძველზე უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა.სასწავლო წის მანძილზე მასწავლებლები აგროვებენ და აანალიზებენ დაერგვის შესახებ მონაცემებს, რაც საფუძვლად დაედება ცვლილებების პაკეტს.**ინდიკატორი ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.სკოლის დოკუმენტაციითა და მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება წინა წლის პრაქტიკის გათვალისწინებითა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე.სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია კურკულუმის განვითარების გზები, რომელიც ასახულია სტრატეგიულ მიზნებში, მათ შორისაა მაღალი

ხარისხის განათლება, მასწავლებლის პროფესიული განვითარება. სამოქმედო გეგმაში მიზნის მისაღწევი ამოცანები და მასთან დაკავშირებული საქმიანობები კურიკულუმის განვითარების პრაქტიკულ გზებს წარმოადგენს. **ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია**
- **მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია**
- **2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია**

**მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია**

**სსიპ ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა. 2023 - 2024 აკადემიური წელი**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

........................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი---

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი---

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი---

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი --

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი--

**თარიღი**
**02.11.2023წ.**